სამეგრელო ტაბლოიდი

№7 (784)
ოთხშაბათი
28 თებერვალი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი დანაყოფი დასავლეთ საქართველოში, დიდთოვლობასთან დაკავშირებით, მესამე დღეა, საგანგებო რეჟიმში მუშაობს.

სამაშველო სამუშაოებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 600-მდე მეხანძრე-მაშველი და ათეულობით სპეციალური ტექნიკაა ჩართული, მათ შორის, თოვლის „ბურანები“.

მეხანძრე-მაშველებმა ამ დროისთვის, ურთულეს რელიეფურ პირობებში ათეულობით ადამიანს გაუწიეს დახმარება. მათ აჭარისა და გურიის სხვადასხვა სოფლიდან უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს მოხუცები, ბავშვები და ის პირები, რომლებიც სამედიცინო დახმარებას საჭიროებდნენ.

საპატრულო პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ავტომანქანებისა და მგზავრთა უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილების მიზნით, სხვადასხვა უწყების შესაბამის სამსახურთან ერთად, მობილიზებული არიან, როგორც ცენტრალურ მაგისტრალებზე, ასევე, შიდა სახელმწიფოებრივ გზებზე.

ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელია „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება!

ევროკავშირის ელჩი დამარცხდა არჩევნებში და მისი მდგომარეობა გამოწვეულია ამ ყველაფრით, ის ღიად აწარმოებდა კამპანიას კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ, „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, ეს ადამიანიც არის ძალადობის თანამონაწილე და აგრძელებს ძალადობის წახალისებას, თუმცა მისი ეს მცდელობა ამ შემთხვევაში აღარ არის წარმატებული. ქართულმა საზოგადოებამ ყველაფერი იცის. ქართულმა საზოგადოებამ იცის ის, თუ რამდენად „მშვიდობიანი“ იყო მიტინგები, რომლებიც იმართებოდა საქართველოში ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში და ქართულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, თუ მთლიანობაში როგორი რეაგირება ჰქონდა ამ ყველაფერზე ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ მოვახერხეთ და აღვკვეთეთ ის ძალადობა, რომელსაც ჰქონდა შორსმიმავალი გეგმები და მთავარი მიზანი იყო ხელისუფლებაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება, რაც, ბუნებრივია, ქართულმა სახელმწიფომ არ დაუშვა. როდესაც ევროკავშირს წარმოადგენ კონკრეტულ ქვეყანაში, თან ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანაში, უნდა იზრუნო ევროკავშირისა და შესაბამისი ქვეყნის დაახლოებაზე. როდესაც ამის საპირისპირო ნაბიჯებს დგამ, ეს არის კონტრპროდუქტიული და ძალიან სამწუხარო მოვლენა. პირადად მე შემიძლია პატივისცემა გამოვხატო ბატონი ჰერჩინსკის მიმართ, თუმცა ის პირდაპირ მოქმედებს **Deep State**-ის დავალებების ქვეშ. აქედან გამომდინარე, მისი მდგომარეობა არ არის იოლი“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„მოგვიანებით, ბატონმა ჰერჩინსკიმ განაცხადა, რომ ევროკავშირს კი არ შეუჩერებია თურმე მანამდე ევროინტეგრაცია, არამედ შეუჩერებია „ქართულ ოცნებას“. თვითონვე აიხლართა საკუთარ ტყუილებში და ეს ტყუილები ემსახურებოდა ერთადერთ რამეს, ის იყო ჩართული საარჩევნო აგიტაციაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელია ევროკავშირის ელჩის ნებისმიერი განცხადება, რომელიც ემსახურება ხელისუფლებაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებას. არაფრის ფასად არ სურს ქართულ საზოგადოებას, ხელისუფლებაში დააბრუნოს კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. კაცი გამოდის და თვალში ნაცარს აყრის ქართულ საზოგადოებას. ამბობს, რომ იყო მშვიდობიანი მიტინგები. ეს ხომ სირცხვილია? რომელი იყო მშვიდობიანი? 5 დღე ომის იმიტაცია რომ ჰქონდათ და თვითონვე რომ ამბობდნენ ეს მოძალადე მომიტინგეები, რომ ეს არის მშვიდობაო? თვითონვე ამბობდნენ ამას. სად იყო მშვიდობიანი მიტინგები, სირცხვილია. მშვიდობიან მიტინგებს რომ უწოდებთ იმას, რა ხდებოდა თბილისში 28 ნოემბრიდან, ეს არის „ნაცური“ უტიფრობა. მხოლოდ „ნაცმა“ შეიძლება იკადროს ასეთი ტყუილი“, - განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

შალვა პაპუაშვილი: საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა დანაღმულ ველზე ქვეყნის მშვიდობიანად გაყვანა

„უკრაინის ომის მესამე წლისთავზე საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია თამამად გაუსწოროს თვალი ქართველ ხალხს, ვინაიდან ჩვენ ჩვენი ღირებულებების, პრინციპებისა და რწმენების ერთგულნი დავრჩით. ამიტომაც არის, რომ გასული წლის ოქტომბერში მეოთხედ აგვირჩიეს ხელისუფლებაში.

ეროვნული ინტერესები ჩვენი ხელისუფლების წარმმართავი პრინციპია, რომელიც დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვას, ქვეყნის გამთლიანებას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოიცავს. ამგვარად ჩამოყალიბებული ეროვნული ინტერესები, ამავე დროს, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია. სწორედ ეროვნული ინტერესების ამგვარი გაგება ედო საფუძვლად ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც უკრაინის ომის დაწყებამდე და დაწყების შემდეგ მივიღეთ.

მივყვეთ ბოლო წლების ძირითად თარიღებს, რათა გავიხსენოთ, თუ როგორ განაპირობებდა ჩვენი ეროვნული ინტერესები საქართველოს საგარეო კურსს.

ჯერ კიდევ მანამ, სანამ რუსეთი უკრაინაში შეიჭრებოდა, საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია უკრაინის შესახებ, რომელშიც “ომის დაუშვებლობაზე” იყო საუბარი და რომელიც ყველა მთავრობას მოუწოდებდა, თავი შეეკავებინათ ვითარების ესკალაციისაგან. სამი წლის წინ მიღებული ეს რეზოლუცია კარგად ეხმიანება აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის მოსაზრებებს, რომლებიც მშვიდობის ქვაკუთხედად არის მოაზრებული.

ომის დაწყების შემდეგ საქართველოს მთავრობამ სრული სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს:

ვიყავით თანაავტორი და ხელმომწერი ყველა საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტისა, რომელიც რუსულ აგრესიას გმობდა;

გამოვრიცხეთ რუსეთზე დადებული საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის ნებისმიერი მცდელობა;

მივაწოდეთ ჰუმანიტარული დახმარება უკრაინას;

შევიფარეთ ათიათასობით უკრაინელი ლტოლვილი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ ჩვენს 300,000 იძულებით გადაადგილებულ პირთან ერთად.

თუმცა, ღია და ფარული წნეხის მიუხედავად, ჩვენ არ დაგვიწესებია ორმხრივი სანქციები რუსეთისათვის და არც სახმელეთო და საჰაერო მიმოსვლა შეგვიზღუდავს, ვინაიდან, ნათელი იყო, რომ ამგვარი ესკალაცია რუსეთისათვის საგრძნობი საერთოდ არ იქნებოდა, საქართველოსთვის კი, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო გარანტიების არარსებობის პირობებში, ეკონომიკურ და ახალ ომს გამოიწვევდა.

უკრაინის მიმართ ჩვენი ქმედითი სოლიდარობის მიუხედავად, ზელენსკის ადმინისტრაციის მხრიდან საპასუხო ნაბიჯები გაუგებარი აღმოჩნდა. ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ უკრაინის მთავრობამ საქართველოდან ელჩი გაიწვია, თავად ზელენსკიმ კი საქართველოს პარლამენტის წინ შეკრებილ საპროტესტო შეკრებას მიმართა სიტყვებით, რომ „ქართველი ხალხი უკეთესი იყო, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება“, რითაც ცხადად წააქეზა საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო პროტესტი. უკრაინელმა ოფიციალურმა პირებმა, მათ შორის პრეზიდენტის უსაფრთხოების მრჩეველმა, ღიად მოგვიწოდეს, ძალით დაგვებრუნებინა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. კარგად გვახსოვს უკრაინის ხელისუფლებასთან უნისონში მოქმედი რადიკალური ოპოზიცია და მათთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები, რომ „ბომბები ერჩივნათ იმ სირცხვილს“, რომელიც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკამ გამოიწვია.

დასავლეთის ზოგიერთი დედაქალაქის რეაქციაც არ იყო ამაზე უკეთესი. იმ ფონზე, რომ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ისინი თავად მოგვიწოდებდნენ “სტრატეგიული მოთმინებისაკენ”, მათ ახლა, მოულოდნელად, ჩვენი მთავრობისაგან რუსეთის მიმართ აგრესიული პოზიციის დაკავება მოითხოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პოზიცია განმეორებითი სამხედრო კონფლიქტის მომაკვდინებელ საფრთხეს შეიცავდა. და ეს ყველაფერი ხდებოდა რაიმე სახის უსაფრთხოების გარანტიისა თუ ეკონომიკური სოლიდარობის შემოუთავაზებლად.

უკრაინის ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოს მოუწია, გაეძლო საშინაო და საერთაშორისო წნეხისათვის, რათა თავიდან აგვერიდებინა რუსეთთან კონფლიქტში ჩაბმა.

2022 წლის ზაფხულში საქართველოს უარი უთხრეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის მოწინავე ქვეყანა ვიყავით აღმოსავლეთის პარტნიორობის ფორმატში, ევროკავშირის ყველა ინდიკატორის მიხედვით, და დღემდე ვრჩებით, ბევრი ნიშნით, მოწინავე ქვეყნად ევროკავშირის ყველა კანდიდატ სახელმწიფოს შორის. ამ გადაწყვეტილებამ რადიკალური ოპოზიციისა და უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების მიერ მართული პროტესტის ტალღა გამოიწვია.

2023 წლის და, შემდეგ, 2024 წლის გაზაფხულზე, უცხოური გავლენის გამჭვირვალების კანონის მიღების გაპროტესტების საბაბით, რადიკალურ ოპოზიციასა და უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობოებს მიეთითათ, მოეწყოთ ძალადობრივი დემონსტრაციები ხელისუფლების წინააღმდეგ. ასევე, დაიწყო ორკესტრირებული საერთაშორისო კამპანია საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით.

2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რადიკალურმა ოპოზიციამ უარი განაცხადა პარლამენტში შესვლაზე იმ საბაბით, რომ არჩევნები გაყალბდა, მიუხედავად იმისა, რომ ეუთო/ოდირის საბოლოო მოხსენება არაფერს ამის მსგავსს არ შეიცავდა. ხელისუფლების საწინააღმდეგო პროტესტი კიდევ უფრო ძალადობრივი გახდა, ხოლო დასავლეთის ზოგიერთი მთავრობის მხრიდან ამ ძალადობის შეფასება გამაოგნებელი აღმოჩნდა, ვინაიდან მათ “მშვიდობიანად” მოიხსენიებდნენ, ხოლო საქართველოს მთავრობის ლეგიტიმურ რეაქციას “ძალადობრივს” უწოდებდნენ.

როგორც ქვეყნის შიდა რადიკალების, ასევე მათი უცხოელი მფარველების მხრიდან გამუდმებული წნეხის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა დანაღმულ ველზე ქვეყნის მშვიდობიანი გაყვანა. ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი ორიენტირი, რომელმაც საშუალება მოგვცა, ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით წაგვეყვანა, იყო ჩვენი ხალხის სიბრძნის რწმენა და ეროვნული ინტერესების ერთგულება.

2009 წლის მარტში, რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრიდან სულ რამდენიმე თვეში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის რუს კოლეგას, სერგეი ლავროვს, “გადატვირთვის” სიმბოლური ღილაკი გადასცა. მომდევნო წელს, ამერიკელმა და დასავლელმა სამხედროებმა, მათ შორის უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვში “გამარჯვების დღის” აღნიშვნაში. საქართველო მიგდებული აღმოჩნდა. დასავლეთში ეს სამარცხვინო ფაქტი ვერც კი შენიშნეს, მაგრამ საქართველომ საჭირო გაკვეთილი მიიღო.

როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის ოქტომბერში არჩევნებში გაიმარჯვა, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სუვერენიტეტის დაცვისათვის ზრუნვა დაიწყო და წარმატებასაც მიაღწია ეროვნული ინტერესების დაცვაში. ეროვნული ინტერესები უფრო მაღლა დავაყენეთ, ვიდრე საერთაშორისო სოლიდარობის ნებისმიერი ყალბი ფილოსოფია, რომელიც ჩვენ მანამდე უკვე გამოცდილი გვქონდა, როდესაც, საბჭოთა ოკუპაციის ათწლეულებში, საქართველოს ეროვნული მისწრაფებები “კომუნისტური ინტერნაციონალის პროლეტარული სოლიდარობის” სახელით ითრგუნებოდა. ამის მსგავსად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, გვიბიძგებდნენ იქითკენ, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესები ახალი ფსევდოლიბერალური ინტერნაციონალის გაუგებარი მოთხოვნებისთვის დაგვექვემდებარებინა.

თავისუფლების ქანდაკებამ ბარგი ჩაალაგა და ქართველის დედასთან შეხვედრა გადაწყვიტა

გასული კვირა „ვირის აბანოს“ ხსენების კვირად იყო გამოცხადებული, თუ 2025 წელს გამოაცხადებენ „სრულიად ვირის აბანოს წლად“, ამაზე სერიოზულად ვფიქრობ. იმ აჩქარებულმა კაცებმა ახალ აშშ-ში ისეთი ტემპით დაიწყეს უკუწლებით დანაშულების ქექვა, რომ მგონი, ახლა ჰილარი კლინტონი დაეძებს ბომბეიდან ლონდონამდე გათხრილ „იმ“ გვირაბს, რომ რომელიმე გადასარბენზე დაიმალოს.

შოლცს ისე მიახალა ჩემმა პირმშვენიერმა ლივიტმა, თქვენი ადგილი განსასჯელის სკამზეაო, რომ ეჭვი მაქვს, კისერზე შემოსასმელი წურბელებიანი ქილით, უმთვარო ღამეებში ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკების ირგვლივ დაძრწის, იქნებ, სადმე ჩასაძრომი ვნახო დასამალადო, — გენეტიკური ცოდვები ეძახიან.

ურსულა დეიდა ღიმილს არ იშორებს სახიდან, მაგრამ ტვინი „სოჩიკივით“ უმუშავებს, — ერთი ჩემი ქმრის ჭკუაც ვატირე! 17 მლნ ადამიანი მოკლა „ფაიზერმა“ და სანამ მეც სასიკვდილოდ ავუცრივარ იმ შტერ თემიდას, ეს ხომ არ გამეგორებინა დორი-ჩარივით და მერე ვიტყვი, ვინც თავი მოიკლა, ის იყო დამნაშავე, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტერორის ქვეშ მაიძულებდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, მე რა შუაში ვარ, უბრალოდ, ჩირქი მოსცხო ჩემს სახელს-მეთქი.

მაკრონს ცხვირი უფრო დაუგრძელდა და ბრიჯიტს გამოუცხადა, ახლა ქალიც შენ ხარ და კაციც, მოიფიქრე რამეო. მე იმთავითვე ეგრე ვიყავი, ჩემო ბიჭო, მაგრამ ახლა სხვა არაფერი მომდის აზრად, საქართველოში უნდა დაიმალო, სამეგრელოს მთებში, ტობავარჩხილის მიდამოებშიო. მაკრონი გადარეულა, იქ რა მინდა, თქვენ ჩემის პატივცემულო, იქაც ხომ „ვირის აბანო“ წამოიწყესო. „მაკრონები“ კოლხური ტომები იყვნენ და აბა, ჰე, დაჯექი, გავიხსენოთ ძველი დრო, ახლა მეგრულში გამეცადინებო.

უყურებს ამათ საგონებელში ჩავარდნილი ზელენსკი და ასტრალში გასული დაბინდული თვალებით მხოლოდ იმ მისტიკურ მატარებელზე ფიქრობს, კიევ-პეჩორის გადასარბენზე რომ ჩაივლის ხოლმე, ნეტავ, იმაზე შემახტუნაო, მაგრამ ადგომა ეზარება, კაი ფიქრებში ლივლივს ამჯობინებს, აბა, ცუდ ფიქრებში როგორ უნდა ილივლივოს?

დროდადრო წამოუვლის ავი რეალობა და, ეს რეები თქვა იმ „რიჟამო“, აღშფოთდება-შეშფოთდება ხოლმე:

არ ვარ წინააღმდეგი უკრაინაში ევროპული ჯარების გაგზავნის, მაგრამ არ იქნება ამერიკული ჯარებიო;

რუსებს არ სურდათ კიევის დანგრევა, თორემ, რომ სდომოდათ, დაანგრევდნენო;

უკრაინაში უფრო მეტი ნგრევაა, ვიდრე ღაზაში, მაგრამ რუსები უკრაინის მხოლოდ 20%-ს ესხმიან თავს და არა 100%-სო;

უკრაინაში არის ღაზას მსგავსი ქალაქებიო;

უკრაინაში დიდი ხანია, არჩევნები არ ჩატარებულაო;

ზელენსკის ახლა 4%-იანი რეიტინგი აქვო;.

უკრაინას სჭირდება არჩევნები, თუ მას სურს ადგილი მოლაპარაკებების მაგიდასთანო;

ზელენსკიმ არ იცის, სად წაიღო აშშ-ს მიცემული ფულის ნახევარიო;

უკრაინას მოუწევს 350 მლრდ-ის გადახდა, ან გაარკვიოს, სად წავიდა ფულიო;

მე, პირადად, მომწონს [ზელენსკი]... ის კარგი ბიჭია... მაგრამ მე პიროვნულობა არ მაინტერესებს. თქვენ გყავთ [უკრაინაში] ხელმძღვანელობა, რომელმაც ომის გაგრძელების საშუალებას შეუწყო ხელიო;

რუსეთს შეუძლია „ძალიან სწრაფად“ გაანადგუროს უკრაინის ქალაქების 100%, მათ შორის, კიევი, მაგრამ არ სურს ამის გაკეთებაო;

რუსეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი მაიკლ მაკფოლი: „ტრამპის გუნდმა ელ-რიადში მოლაპარაკებების დროს, რუსეთს ცეცხლის სანაცვლოდ შესთავაზა: უკრაინის დაკარგული ტერიტორიის გაფორმებაო; უკრაინა რომ ნატო-ში არ შევა, ამის შესახებ ოფიციალური განცხადების დადასტურებაო; ამერიკული ჯარები არ განთავსდება უკრაინის ტერიტორიაზეო; რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების შემსუბუქებაო.

ასეთ შავ ფიქრებს ნათელი ფიქრები არ სჯობს? ჰოდა, არის რა, კაი-კაი ფიქრებში...

ის „რიჟა“ კიდე უბერავს თაზა „კამაზივით“: ეგ ზელენსკი „დიქტატორია არჩევნების გარეშეო“; აშშ-ის მონაწილეობის გარეშე, ზელენსკი ვერასდროს შეძლებს რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებასო; მაგასო, ომის გაგრძელება საკუთარი ფინანსური სარგებლისთვის უნდოდაო; ზელენსკიმ აშშ ჩაითრია იმ ომში, რომლის მოგებაც შეუძლებელიაო — აშშ-მა 350 მლრდ დახარჯა და სანაცვლოდ არაფერს იღებსო...

ზელენსკიმ ჩაითრია ამერიკაო, — ხომ ვთქვი, მე ვიყო ქუვეითის შპიონი, თუ ზელენსკის არ დაბრალდეს რუსეთთან ომის წამოწყება-მეთქი...

ვაჰ, როგორა თქვას ამ გაჭირვებულმა მილიარდერმა ზელენსკიმ, რომ იმ უსავარცხელო ჯონსონმა უთხრა, რა დროს თმის ვარცხნაა, მაიტა, ცოტა მაყუთი გავჭრათ კაი ბიჭებმა, მილიონობით უკრაინელი ხართ, 1 მლნ რომ მოგაკლდეთ, ეგეც ხეირია „ოქროს მილიარდისთვისო“ და ამასაც ჭკუაში დაუჯდა.

ცხადია, კაი ჩაჟუჟუნება სჯობს, არა, ბიჯო, იმაზე საფიქრალად განეწყობა, რომ გასული წლის მაისიდან მისი პრეზიდენტობა ვადაგასულია სიდამპლეში გადასული ძირსნაყარი ხილივით. ვიღაცამ კი წამოიკვნესა, ომის დროსაც ტარდება არჩევნებიო, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოება ენაგადაყლაპულია და დუმს, ზელენსკის კი რაში ენაღვლება, „პუტინი და სხვა“ თუ ამბობენ, რომ ზელენსკის არალეგიტიმურობა გამორიცხავს რაიმე სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებას, რაც რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას პერსპექტივას ყველანაირად კლავსო. არც ბუნდოვანი მომავლის მქონე ზელენსკის უნდა ომის დასრულება და არც დამფრთხალ ევროპას. აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნები კი უკვე სიზმრად ხედავენ უკრაინის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნების კონტურებს — უკრაინა გრამაფონში იყო, რეალურად, საბჭოთა კავშირის მოკბეჩილს, — რომლის სამართალმემკვიდრედ რუსეთია სახეზე.

ამ ჩვენს „ქართულ ოცნებას“ რომ აუჩემებია, ომში მყოფ მეგობარ ქვეყანას რა სათქმელიც ეკუთვნის საქართველოს მტრობისთვის, იმაზე არაფერს ვეტყვით, ცოდოაო და ახლა სამშობლოს ღალატის მუხლის დაბრუნებით კანონისა და კანონიერების აღმასრულებლებად აცხადებენ თავს. ამაზე მაინც ამოიღოს ხმა, — დაგმოს უკრაინის კონსტიტუციის უხეში დარღვევა და აჰყვეს „დიდ ბიძიებს“, მოითხოვოს ზელენსკის მიერ უკანონოდ ჩაბღაუჭებული პრეზიდენტის სავარძლის გამოხსნა და უკრაინაში ყველანაირი არჩევნების სასწრაფოდ დანიშვნა. მარო ძალოსი არ იყოს, ვიიშ, რა ყველაფერი მე უნდა ვალაგო და ვინაღვლო...

აქეთ, შუაგულ ევროპაში კიდე, ვერ გავიგე, ჯეი დი ვენსის მიუნხენში ჩასვლით იმ ელისეს სასახლეში რა წყალი ამოუვიდათ აჟიჟივებული ევროპის „მკაცრ ლიდერებს“, რატომ დაუელამდათ მზერა?

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა თვალების ციმციმით უთხრა ყველა მათგანს, „ვასალებო, ტაში-ტაშიო“ და იმათ სასწრაფოდ დღის წესრიგი გამოაცხვეს: 1. აშშ-ის იმედი აღარ უნდა გვქონდეს და აწი რა ვქნათო და 2. ეს უკრაინა რაღას ავიკიდეთ, რომელი ევროპა ეს არის. აწი რამე მოვუხერხოთ, სანამ დაშტერებული გვყავს, თორემ გონზე თუ მოვიდა, მერე იქით შეაჭმევინებს ჩვენს თავს მურიასო.

პირველ საკითხზე დაასკვნეს, — რაც შეიძლება უფრო უნდა გავძლიერდეთ, ამისთვის საჭიროა ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაზრდაო. რა ვქნათ, ძმაო, უკრაინის წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძობთ, მაგრამ ევროპამ ჩვენს თავსაც ხომ უნდა მივხედოთო.

მოკლედ, ჩელიაბინსკში გავიგეთ, რომ უკრაინა ევროპელებისთვის ევროპა არ არის და იმათ კი მაინც ვერ გაიგეს. როგორც ჩემი ძმაკაცი ერვანდა იკითხავდა — მა ვინ ჩემი ფეხებია, რუსეთიაო თუ ვაბშემც, უნგრეთ-რუმინეთ-პოლონეთის ზბორნაიაო?

მეორე საკითხზე ბრიტანეთის პრემიერი, ის სტარმერი წამოიქოჩრა, რომელთან დაკავშირებითაც ტრამპმა თქვა, რას ამიფეთქა ტელეფონი რეკვით, რაზე უნდა ველაპარაკო, გაგებაში არ ვარო. სტარმერმა, ისაო, უკრაინაში ბრიტანელ ჯარისკაცებს გავგზავნი, მაგრამ აშშ-ის გარანტიები მჭირდება, რუსეთმა რომ ისევ დასცხოს უკრაინას და ჩემები დამეხოცოს, მერე რაღა ვქნა, ჯეკ მფატრავი უკან მორჩებათ, ისე გამომშიგნავენ ინგლისეთშიო. ეტყობა, სტარმერს გურამ შეროზიას ბლოგი აქვს შესწავლილი, — თუ გარანტია მექნება, რომ არ მოვკვდები, ვიომებო.

სტარმერმა უცბად ისე გამოაფხიზლა კრება, რომ ყველამ საკუთარი ქვეყნის დედაქალაქი დაინახა სახემორღვეული და ერთხმად იხუვლეს, მოიცა, კაცო ერთი, ეგ აუდგილოა, ნაადრევია, არაეფექტურიაო, მოკლედ, დიდი დოიობაა.

შოლცმა იფიქრა, 23 თებერვალს მე გავაღწიო და რა მენაღვლება, მაგ პასუხისმგებლობას მაინც აღარ ავიკიდებო და კრებას ყველაფერზე დაეთანხმა.

მადამ კვერცხას კუმირი სერგეი ლავროვი რა აზრზეა ახლა, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ძალიან კი უკვირდა, ნეტავ, რა უნდა აკეთოს ევროპამ უკრაინის საკითხზე მოლაპარაკებების მაგიდასთანო. კონფლიტის გაყინვის შესახებ რაღაც მზაკვრული იდეების წარდგენას თუ ეცდებიან, თვითონ კი, თავისი წეს-ჩვეულების თანახმად, ამაში ომის გაგრძელებას იგულისხმებენ, რა უნდათ მოლაპარაკების მაგიდასთანო?! — მართალია ეს კაცი ამ შემთხვევაში.

ის ტერე ჰელანდი ვიღა შაშაკოლაა, მადამ კვერცხას ოროსანი მოსწავლე? რა ევროსაბჭოს მრჩეველია, მასწავლებლის მსგავსად თავში ფეხი ამოსვლია, — აშშ აღარ არის ევროპის სანდო პარტნიორი, ვენსმა ამაში დაგვარწმუნა, ამიტომ საქართველო საბრძოლო ველია, რომლიდანაც ჩვენ დავიწყებთ ბრძოლასო. ვერ გავიგე, ვენსი ძირძველი კოლხია, საქართველოში მისი გენეტიკური მამიდაშვილები ვართ და საქართველოზე შურისძიება გაიხადა მიზნად, თუ კვერცხა-სალოს აძლევს ბანს? ეგ პოლიტჭუტალა, ეგა! საქართველოში გამარჯვება ასე გამოიყურებაო: 1. დამანგრეველი სანქციები „ქართულ ოცნებასა“ და მის მომხრეებს; 2. ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლა, რომლებიც იძულებით გამოიწვევს ახალი არჩევნების ჩატარებასო. ჟანგბადი გადაუკეტეთ სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ბანკებს და მედიებსო და, რაც კი რამე სიტყვები გაუგია, ერთმანეთს გადაბა. ეგრე იყოს! 1. თავიანთი ჩამოწერილი სანქციები დიდ რულონად დაახვიონ და მიხედონ; 2. ამის ფანტაზიორი შუბა კი

7 ბ3.

ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, გუშინ აშშ-სა და რუსეთს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდი შედგა. მანამდე, ტრამპმა ზელენსკის დიქტატორი უწოდა. ამ უკანასკნელმა კი აშშ-ის პრეზიდენტზე თქვა, რუსეთის მიერ წარმოებულ „დეზინფორმაციულ სივრცეში“ იმყოფებაო. ზოგადად, რა ცვლილებებს მოიტანს ტრამპის პოლიტიკა?

— თავიდანვე ნათელი იყო, რომ ტრამპი ბაიდენის პოლიტიკას არ განაგრძობდა. ამბობენ, ზელენსკის დიქტატორი კი უწოდა, მაგრამ მეორე დღეს რიტორიკა შეარბილაო. თუ იგი თავის გამონათქვამებს არბილებს, ეს მხოლოდ ტაქტიკაა, რადგან აშშ-ში, ევროპაში ომის „სპონსორების“ გავლენები კვლავ ძალიან ძლიერია.

მივყვეთ თანმიმდევრობით, თუ რა განზრახვები გაახმოვანა ტრამპმა, რამაც ევროპა შოკში ჩააგდო:

1. კანადის, როგორც შტატის მიერთება. ზოგს ეგონა, რომ ეს ტრამპის ახირება იყო, თუმცა ამაზე უკვე ამერიკის ადმინისტრაციის წამყვანი ფიგურები საუბრობენ.

2. ტრამპს სურს გრენლანდია, აშშ-ის ნაწილი გახდეს, ანუ დანიამ მიჰყიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სამხედრო ძალას გამოიყენებს.

3. პანამის არხის უკან დაბრუნება.

4. ულტიმატუმი მექსიკასთან, რომ მან აშშ-სთან საზღვარი დაიცვას და ნარკოკარტელების წინააღმდეგ რადიკალური ქმედებები განახორციელოს. ნარკოკარტელები სახელმწიფოში ცალკე სახელმწიფოებია, რომელთაც თავიანთ შეიარაღებული ძალები, დაზვერვა, ავიაცია და წყალქვეშა ნავებიც კი ჰყავთ. ტრამპმა მექსიკური ნარკოკარტელები ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოაცხადა. ასეთ შემთხვევაში, მათ მიმართ სპეცოპერაციების ჩატარების, განადგურების პოლიტიკა ამუშავდება.

5. საკითხი ევროკავშირთან მიმართებით რადიკალურ ცვლილებებს ეხება. მიუნხენში ჯეი დი ვენსმა ევროკავშირი მიწასთან გაასწორა. მას ტოტალიტარული გაერთიანება უწოდა, რომელიც ადამიანებს ლოცვისთვის აპატიმრებს, არ ცნობს სხვა ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებს, თუ ეს მას არ აწყობს, ახშობს საწინააღმდეგო აზრს, ზღუდავს ინფორმაციას და ა. შ. ვენსმა ევროპელებს უთხრა: საკუთარი თავის მტრები თავად ხართ და ჩვენ თქვენთან საერთო ფასეულობებიც კი არ გვაქვს იმისთვის, რომ დაგიცვათო.

6. ტრამპი ვენსის გამოსვლით აღფრთოვანდა. მეექვსე ისრაელის საკითხია. ტრამპი რადიკალურად პროებრაული განწყობისაა. მისი განცხადება, რომ ღაზას სექტორიდან პალესტინელები უნდა გაასახლონ და ის ამერიკის საკუთრებაში გადავიდეს, უპრეცედენტო იყო, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია. ამის წინააღმდეგ თურქეთი და ბრიტანეთი გამოვიდნენ. ისინი ისრაელთან წინააღმდეგობრივ ურთიერთობაში არიან. ამასთან ერთად, ტრამპის ადმინისტრაცია სატარიფო პოლიტიკას ამკაცრებს. მაგალითად, ჩინეთთან დაკავშირებით უკვე საუბარია სავაჭრო ომის დასაწყისზე.

და ბოლოს, 7. ტრამპის ადმინისტრაცია უკრაინის მიმართ დამოკიდებულებას რადიკალურად ცვლის. კერძოდ, ტრამპი აცახდებს, რომ უკრაინამ აშშ-ისგან დახმარების სახით, უანგაროდ 177 მილიარდი დოლარი მიიღო მაშინ, როცა ევროპამ უკრაინას გარანტირებული სესხები მისცა. ამავე დროს, აშშ-ს, წესით, უკრაინის ომი ნაკლებად უნდა აინტერესებდეს, რადგან მას ევროპისგან ატლანტიკის ოკეანე ჰყოფს. შესაბამისად, ტრამპი უკრაინისგან აშშ-ის მიერ გაცემული თანხისთვის გარანტიას ითხოვს. რატომღაც, წიაღისეულზე გარიგების თემაში 500 მილიარდი დოლარი ფიგურირებს. ტრამპმა უკრაინაში ფინანსთა მინისტრი ორჯერ გაგზავნა, ერთხელ ზელენსკის „ეძინა“, მეორედ კი გარიგების ახალ პროექტზე ხელმოწერაზე უარი განაცხადა, რამაც აშშ-ის პრეზიდენტის გაღიზიანება გამოიწვია. ცალკე თემაა, საიდან აღმოცენდა 500 მილიარდი დოლარი. ეს, ალბათ, გარკვეული უზრუნველყოფაა რუსეთთან მომავალი რეალური ვაჭრობისთვის, რა დროსაც შესაძლოა, სხვადასხვა სცენარი გათამაშდეს და საზოგადოებაში გავრცელდეს სხვადასხვა ვერსია, ამ ვაჭრობის გამართლების მიზნით.

— აშკარად იკვეთება, რომ საქმე რადიკალურ ცვლილებებთან გვაქვს...

— დიახ, და ეს ცვლილებები ამერიკის შიგნითაც მიმდინარეობს. კერძოდ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რადიკალური საკადრო წმენდა ხდება, სადაც ათი ათას თანამშრომელს რვა თვის ხელფასს აძლევენ, რათა სამსახური დატოვონ. ამასთანავე, ტრამპი ცდილობს, აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი შეამციროს. ახალგაზრდა მუშაკები, რომელთა მოსყიდვაც ძნელია, ყველა სამსახურის აუდიტს ახორციელებენ. საუბარია ტრილიონობით დოლარზე, დარღვევები იკვეთება როგორც პენტაგონში, ისე სოციალურ სამსახურში, განათლების სამინისტროში და ა. შ.

კანადა ბრიტანეთის გვირგვინის ყველაზე დიდი ნაწილია. ის მსოფლიოში მეორე ადგილზეა ტერიტორიითა და კოლოსალური რესურსებით. მექსიკაში მოქმედი ნარკოკარტელებიდან მიღებული შემოსავლების „გარეცხვა“, სწორედ ბრიტანეთის მიერ კონტროლირებად ოფშორებში ხდება. ბრიტანეთის იმპერიის მიერ დაახლოებით, 35 ტრილიონი დოლარი კონტროლირდება, რაც ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშ, ოფშორებშია დალექილი.

რაც შეეხება გრენლანდიას, რომელიც დანიის იურისდიქციის ქვეშ არის, ეს უკანასკნელი და ბრიტანეთი ამ სფეროში მოკავშირეები არიან. ამიტომ, პირველი, ვინც გრენლანდიის მისაკუთრების მცდელობის გამო გულისწყრომა გამოთქვა, ჯერ ბრიტანეთი იყო და მერე — საფრანგეთი.

აქვე ისიც გავიხსენოთ, ვინ არის უკრაინის ომის მთავარი გამღვივებელი? რა თქმა უნდა, ბრიტანელები. ვინ ჩაშალა სტამბულის ხელშეკრულებები? — ჯონსონმა. ვინ დგას ყველაზე რადიკალურ პოზიციაზე უკრაინასთან მიმართებით?! ბრიტანეთი, ზოგადად, ბოლო სამი საუკუნე, ბრიტანეთი რუსეთის იმპერიის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე იყო. ნაპოლეონს სწორედ ბრიტანელები აფინანსებდნენ, როცა იგი რუსეთზე თავდასხმას აპირებდა. გავიხსენოთ რასპუტინი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გერმანიასთან რუსეთის ჩაბმის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, სწორედ ბრიტანულმა დაზვერვამ მოკლა. ეს დიდი თამაში და ბრძოლა იმპერიებს შორის დღემდე გრძელდება. ცხადია, ბრიტანეთს ევროკავშირზე უდიდესი გავლენა აქვს, რომელიც იქ მთელი რიგი პროცესების ინსპირატორია.

— რით აიხსნება, ტრამპის ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღება ევროკავშირის მიმართ?

— იმით, რომ ე. წ. ლიბერალ-გლობალისტები, რომელთა ერთი ცენტრი ლონდონის სიტიშია, ხოლო მეორე ნიუ-იორკში მდებარე საგარეო ურთიერთობათა საბჭოში, ე. წ. ტრამპისტების — ამერიკელი პატრიოტების წინააღმდეგ გაერთიანდნენ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ პოლიტიკის იმ მეთოდებით წარმოება, რასაც ლიბერალ-გლობალისტები ახორციელებენ, იგულისხმება, კლინტონები, ბაიდენები და ა. შ., მსოფლიოს დაღუპვამდე მიიყვანს. ამ ორ ძალას შორის იდეოლოგიური, ფასეულობთი მიდგომები, რადიკალურად განსხვავდება. მათ მიაჩნიათ, რომ ბრძოლა სხვა მეთოდებით უნდა განხორციელდეს და არა ომით.

— რა მიმართულებით განვითარდება უკრაინაში მოვლენები?

— ტრამპისთვის გასაგებია, რომ უკრაინაში ომი წაგებულია. თუ ომი გაგრძელდება, შედეგებზე პასუხისმგებელი სწორედ იგი იქნება. ტრამპს არ სურს, სხვისი გაფუჭებული საქმის გამო პოლიტიკური პასუხი მას მოეთხოვოს. შესაბამისად, ცდილობს, ეს ომი შეაჩეროს და დათმობებზე მიდის. ტრამპის თქმით, იგი არ შეეცდება, რუსებს იმ ტერიტორიიდან გასვლა მოსთხოვოს, რაც უკვე დაკავებული აქვთ. ამ პოზიციამ ფრონტის ხაზზე ვითარების გამწვავება, კერძოდ, რუსების გააქტიურება გამოიწვია. რუსეთი ცდილობს, უკრაინული არმია წელში საბოლოოდ გადატეხოს, რათა უკრაინაში კოლაფსი და სამოქალაქო ომი დაიწყოს. შედეგად, უკრაინა უკონტროლო გახდეს და ზელენსკი, ან გაიქცეს, ან ჩამოაგდონ. პუტინი ცეცხლზე ნავთს ასხამს და ამბობს, მზად ვარ, ზელენსკის პოლიტიკური თავშესაფარი მივცეო. მას არ აწყობს მხოლოდ ის ტერიტორიები, რაც ამჟამად დაკავებული აქვს. რუსეთის მიზანი უკრაინის დემილიტარიზაცია და დენაციფიკაციაა. ანუ, უკრაინის არმიის პოლიციურ ძალებამდე დაყვანა, მისი კონტროლის საშუალებითურთ რუსეთის მიერ და უკრაინის ხელისუფლებაში პრორუსული ან რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი ძალების მოყვანა. ასე ხედავს რუსეთი თავისი უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტას მტრული ევროპის პირობებში.

ევროპა კი, ტრადიციულად, ამ მტრობას არ მალავს. მაგალითად, გერმანიის ახალი კანცლერი — მერცი ომის დაწყებას, ანუ რუსეთის სიღრმეში დარტყმების მიყენებას მოითხოვს. შოლციც იგივე პოზიციაზეა. ევროპული ლიდერშიპი, რომელსაც ბრიტანეთი, ასევე, ბაიდენის ფრთა აკონტროლებს, რუსეთის წინააღმდეგ რადიკალურ პოზიციებს აფიქსირებს. ტრამპის პოლიტიკა გაცილებით რაციონალურია, რაც ღალატად ცხადდება. მას თავისი ლოგიკა აქვს, რაც აშშ-ის ინტერესებიდან გამომდინარეა. ბაიდენის ლოგიკას კი ატომურ ომამდე მივყავდით. ანუ, გლობალური თერმობირთვული ომის საფრთხე იდგა. ეს პერსპექტივა შეიძლება ტაბლიაშვილს და სხვა ქართველ ლიბერალებს მოსწონდათ, მაგრამ ნორმალურ ადამიანს არ შეიძლება ეს ხიბლავდეს. გასაოცარია, ამ ადამიანების სიბრმავე, სიძულვილი, რაც მათ რაციონალურ აზროვნებას ართმევს. ლიბერალებს რუსეთის მიმართ სიძულვილი, საკუთარი თავის წინააღმდეგ მოქმედებაში უწყობს ხელს. ადამიანს საკუთარი სიძულვილი ამარცხებს. ეს სიძულვილი ჩვენს მიმართაც იკვეთება. რასაც საქართველოს მიმართ ამბობენ, ეს მათი მორალური დეგრადაციის ხარისხზე მიუთითებს. აი, ასეთ სისტემურ, სუიციდალურ მიმართულებებს ვხედავთ ევროკავშირში. ევროპელი ხალხები ამ საშინელი ბიუროკრატიული მექანიზმის მსხვერპლი არიან.

ასე რომ, უკრაინისთვის კარგი არაფერი ხდება. რუსეთის განზრახვა მისი ანიჰილაციაა, რაც უკვე სავსებით რეალური ჩანს.

თამარ შველიძე

ევროპა ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო მტვრევა

გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:

— ბატონო ედიშერ, ტერე ჰელანდმა განაცხადა, რომ აშშ სანდო პარტნიორი აღარ არის და სიძლიერის გამოსავლენად ევროპა შეტევზე უნდა გადავიდეს, ბრძოლის ველად კი საქართველო დაასახელა...

— ტერე ჰელანდიც და ევროპელი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი პოლიტიკური ცვედანები არიან. კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო მტვრევაო. დღევანდელ ცვედან, ევროპელ პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ საქართველო უნაგირია და მას დაამტვრევენ. ეს არ გამოუვათ, რადგან საფრთხე ახლა თავად ევროპას ემუქრება. თუ ეს ე. წ. პოლიტიკოსები ხელისუფლებაში დარჩებიან, აღარც ევროპის კონტინენტი იარსებებს და აღარც ევროპელი ხალხი, რადგან ევროპული ფასეულობები, ტრადიციები, ყველაფერი გაქრება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ დროს ევროპაში ერეტიკოსობა მძვინვარებდა, განსხვავებულად მოაზროვნეებს კოცონზე წვავდნენ. ევროპაშივე აღმოცენდა საშინელი იდეოლოგია, რომელსაც ჯერ ფაშიზმი, მოგვიანებით კი ლიბერალური ფაშიზმი ეწოდა. ამიტომ ამ ხელმოცარულების განცხადებები, საქართველოზე გავლენას ვერ მოახდენს.

დღეს აშშ-სთან ერთად, რომელიც მსოფლიოს მართავს, ასპარეზზე რუსეთი და ჩინეთი გამოვიდნენ. ევროკავშირი კი, დღეს არარაობა, მარიონეტია, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციის დაკრულზე ცეკვავდა, რომელმაც ადამიანური ფასეულობები აშშ-შიც გაანადგურა და ევროპაშიც. ევროპაში ორი სახელმწიფო დარჩა — სლოვაკეთი და უნგრეთი, სადაც ქვეყანას კაცები მართავენ, დანარჩენები პოლიტიკური საჭურისები არიან. ისინი ბაიდენის მეთაურობით, „დიფ სთეითმა“ დაასაჭურისა.

ასე რომ, ჩვენთვის არც ჰელანდის და არც სხვა საჭურისების განცხადებები სახიფათო არ არის. მათ იციან, რომ ახლა მსოფლიოს გადანაწილების პროცესი მიდის. უკრაინა, ფაქტობრივად, გაწირეს. ტრამპმა განაცხადა: მოვა დრო, როდესაც უკრაინა რუსეთის ნაწილი გახდებაო. ასეთი რამ პოლიტიკაში შემთხვევით როდი ითქმება. უკრაინის ამბავი დამთავრებულია. ამ ცვედან, პოლიტიკურ საჭურისებს ერთი რამ აწუხებთ: როდესაც ვითარება შეიცვლება, დღის წესრიგში მათი საკითხიც დადგება. ამიტომ სურთ, ისრები საქართველოსკენ გადმოიტანონ. მაგრამ არაფერი გამოუვათ, რადგან ჩვენმა ქვეყანამ ამასობაში მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გავლენა მოიპოვა. საქართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ცენტრი ხდება. ასე რომ, გამორიცხულია, აშშ-მ, აღმოსავლეთმა თუ ჩრდილოეთმა, შოლცის, მაკრონის, თუ კუბილიუსისნაირ პოლიტიკოსებს სიტუაცია აარევინონ. აღსანიშნავია ჩვენი ხელისუფლების იუველირული სიზუსტით მოქმედება.

ევროკავშირს მალე დაშლა ელის. რაც შეეხება აშშ-ს, იქ საინტერესო პროცესები მიდის. ამერიკას ის დაემართა, რაც ერთ დროს საბჭოთა კავშირს. ამჟამად აშშ-ის მმართველმა ელიტამ საღათას ძილიდან გამოსვლა მოახერხა. მას აქამდე სათავეში მძინარე ჯო ჰყავდა. ბაიდენის მმართველობის დროს ცალკეულმა შტატებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყეს. ეს პროცესები რომ არ გაღრმავებულიყო, ამერიკის ახალმა პოლიტელიტამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ მმართველობიდან ე. წ. „დიფ სთეითი“ ჩამოეცილებინა, რასაც ტრამპი წარმატებით აკეთებს. იგი ჯერ ერთი თვის მოსულია და ამერიკაში პროცესები ისეთი კატასტროფული სისწრაფით ვითარდება, რომ ისტორიკოსი ვარ და მსგავსი არსად მახსოვს. მით უმეტეს, აშშ-ში. საბჭოთა კავშირს იმიტომ ვადარებ, რომ ის კომუნიზმის იდეის გავრცელებით იყო შთაგონებული. აშშ კი უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა სხვა ქვეყნებში რევოლუციების, გადატრიალებების მოსაწყობად. ტრამპმა ამ საქმიანობაში „იუესაიდი“, „ეროვნული დემოკრატიის ფონდი“ თავად ამხილა. აქაურ ნჯო-ებს 41 მილიონი ჩაერიცხათ იმისთვის, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინათ. საბჭოთა კავშირის დროსაც არსებობდა ე. წ. მშვიდობის ფონდი, რომლის თანხები მსოფლიოში რევოლუციების მოხდენას ხმარდებოდა, იქ კომუნისტური რევოლუციები იყო, აქ — „დემოკრატიულის“ მოხდენა უნდოდათ. თუ საბჭოთა კავშირს ცალკეულ ქვეყნებში თავისი სატელიტების დასმა სურდა, ახლა იგივე აშშ-ს და ევროკავშირს უნდოდათ. ევროპის რიგ ქვეყნებში ეს გამოუვიდათ, ჩვენთან კი — არა. მათ ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, მთელი სახელმწიფო სისტემის ხელში ჩაგდება უნდოდათ.

დღეს ევროპა მძიმე დღეშია. საფრანგეთის პრეზიდენტი „ჩუჩელაა“. გერმანია შოლცმა უკიდურეს ვითარებაში ჩააგდო. გერმანიის ხელისუფლებამ იცის, ვინ ააფეთქა „ჩრდილოეთი ნაკადი-2“, მაგრამ ხმას ვერ იღებენ. გერმანიის ელჩ ფიშერს საკუთარი ქვეყნისთვის ვერ მიუხედავს და ჭკუას ჩვენ გვარიგებს. ძაღლი სახლში არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო, ისეა მისი საქმე. ახლო მომავალში ევროკავშირის ქვეყნები უმძიმეს დღეში აღმოჩნდებიან. ახლა რომ ამბობენ, პროცესები საქართველოში უნდა გადავიტანოთო, სამხედრო ძალა ჰყავთ, თუ ამას რის იმედად აცხადებენ?! ახლა ბრიტანეთს შევხედოთ, რა დღეშია — ტრამპმა ერთი დაუცაცხანა და მაკრონი და ბრიტანეთის პრემიერი კირ სტარმერი კუდამოძუებულები მიდიან ვაშინგტონში, იმდენად არიან შეშინებულნი. იმ შედეგებით, რაც აშშ-მ დღეს მსოფლიო პოლიტიკაში მიიღო, მეორე მსოფლიო ომის გამოძახილი გვაქვს.

აქვე ერთ საინტერესო რამეს გეტყვით: ჩვენ გვყავდა გენიოსი **ილია ჭავჭავაძე, რომელმაც 1889 წელს დაწერა „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“. ილია წერდა: ევროპის ქვეყნები ერთმანეთთაშორის ომს, ხოცვა-ჟლეტას გაუტაცებია, რაც თანხები აქვთ, სამხედრო შეიარაღებაში იხარჯება. ახლა, გახედეთ აშშ-ს, ოკეანის გაღმა ეკონომიკური ბუმია. სამომავლოდ აშშ აუცილებლად ისარგებლებს ევროპის ქვეყნების ერთმანეთთან მტრული დამოკიდებულებით და ძლიერი სახელმწიფო გახდებაო. ილიამ განსაზღვრა, მომავალში რაც მოხდებოდა** — ევროპის შიდა ქიშპობით, აშშ-მ მართლაც ისარგებლა. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად, ევროპელებს იარაღი სჭირდებოდათ და ფულს ამერიკელებს აძლევდნენ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების მერე, ამერიკელებმა „მარშალის გეგმა“ წარადგინეს, რითაც აშშ სარგებლობდა. უანგარო დახმარება არ არსებობს. სტალინმა „მარშალის გეგმა“ არ მიიღო, ევროპელებმა კი მიიღეს და ამიტომაც არიან ამერიკელების მარიონეტები. ევროკავშირს დღეს ძალა არ გააჩნია. ჩვენმა ხელისუფლებამ გენიალური რამ გააკეთა, როცა განაცხადა, ევროკავშირთან მოლაპარაკებებს ვაჩერებთო, რადგან მას მსოფლიო პოლიტიკაში ბალი ათ შაურად არავინ არაფერს ეკითხება. ამას ამტკიცებს შეხვედრა საუდის არაბეთში, სადაც ევროკავშირი არავის მიუწვევია.

მეტი დამცირება რა შეიძლება იყოს, როცა ტრამპმა განაცხადა: ამ მოლაპარაკებებში უკრაინას არაფერი ესაქმებაო. ამით დარტყმა „დიფ სთეითს“ მიაყენა. მეტიც, ტრამპმა იკითხა: 350 მილიარდი დოლარი სად წავიდაო, რითაც ზელენსკის ხროვის თავზე დამოკლეს მახვილი დაკიდა. ისინი ყველაფერზე პასუხს აგებენ. ეს მეორე ნიურნბერგის პროცესი იქნება. მეტსაც გეტყვით, ვფიქრობ, უკრაინასა და საქართველოში ნიურნბერგის პროცესები ერთდროულად ჩატარდება. რასაც ზელენსკის ხროვა უკრაინაში წარმოადგენს, იგივეს აქ მიშას ხროვა წარმოადგენს ნაცების სახით. მათი დანაშაულების გამოსაძიებლად პარლამენტში დროებითმა კომისიამ მუშაობა უკვე დაიწყო. ტრამპმა ზელენსკი დიქტატორად შერაცხა. დიახ, მას დიქტატორი მასხარა უწოდა, რომელმაც უკრაინელი ხალხი გააუბედურა. აქეთ სალომე დარჩა უილსონისგან მოტყუებული — მან ფული იშოვა და ზურაბიშვილს ტრამპის ინაუგურაცია ტელევიზორში აყურებინა. უარეს სიტუაციაში აღმოჩდნენ კოლექტიური ნაცები — ხაზარაძე და ჯაფარიძე, რომლებიც საბჭოთა „კარმანნიკებივით“ ქუჩაში იდგნენ. დღევანდელი მეხუთე კოლონა, რომელმაც ოპოზიციის შირმა მოირგო, პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა გაქრეს. დააკვირდით, როგორ ვირთხის დღეში ჩავარდა ეს ე. წ. ოპოზიცია — ჯერ მლიქვნელობა დაიწყეს, ტრამპს კუდს უქიცინებდნენ. ტრამპმა რომ „დაიქნია“, თავზე დაახურა და გამოაბუნძულა, ახლა მისი გინება დაიწყეს. ისინი, როგორც ლიბერალური ფაშიზმი, უნდა განადგურდნენ. 29 აპრილს მათი განადგურება რუსთაველის გამზირზე დაიწყო და უზენაესი სასამართლოს მიდამოებში დასრულდება.

— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის ქცევის მოდელში რა შეიცვლება?

— მინდა გითხრათ, რომ ოპოზიცია თავისი ნჯო-ებიანად, დაფინანსების შეწყვეტის გამო ჭკუიდან შეიშალა. საქმე ის არის, რომ მათ სასუნთქი არტერია გადაუკეტეს. ხელისუფლებამ უსწრაფესად უნდა იმოქმედოს. „ფარას“ კანონი უკვე დარეგისტრირდა, რაც კარგია. მოწინააღმდეგე მისივე მეთოდით უნდა დაამარცხო. დააკვირდით, საქართველოს ხელისუფლებამ მიზანმიმართული, მეთოდური მუშაობით, ოპოზიცია და ნჯო-ები იქამდე მიიყვანა, რომ ქუჩაში გაგიჟებულები დარბიან. იქამდე მივიდნენ, რომ ამერიკის დროშასაც წვავენ. მალე ევროკავშირის დროშასაც დაწვავენ. მთავარი კიდევ, იცით, რა არის? — ივანიშვილმა მათ ხელში ნეხვი დააჭერინა და რუსთაველის გამზირზე ისე დარბოდნენ. ამაზე მეტი გაგიჟება შეიძლება? — ფეკალიებით ხელში დადიან. ივანიშვილი ამბობდა: ჭკუას მოუხმეთ და ერთად ავაშენოთ ქვეყანა, ნუ ახლით კედელს თავს, თორემ გაგიტყდებათო. კიდეც გაუტყდათ. კიდევ ერთ უმთავრეს რამეს გეტყვით: საქართველოში არც ოპოზიცია, არც მედიის საშუალებები არავის დაუხურავს, ისე გაანადგურა ისინი ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა. დიახ, ხელისუფლებამ საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს — ნაცები გაასამართლოს და პოლიტიკურ-სამართლებრივი შედეგი დადგეს. მეხუთე კოლონის ჩარეცხვის პროცესი თანდათან დასრულდება და მალე სულ გაქრებიან. კიდევ ერთ მომენტს მივაქციოთ ყურადღება: როგორ ხდება ბიუჯეტის შევსება? ასი-ორასი კაცი რუსთაველის გამზირზე დადის, ქუჩას კეტავს, საღამოს სახლში ჯარიმა მისდით და ბიუჯეტი ივსება. ეს არაჩვეულებრივი საქმეა — კი ბატონო, რაც ფული დარჩათ, დაე, იხადონ საქართველოს ბიუჯეტში და ეს ქართველ ხალხს, ქვეყნის განვითარებას მოხმარდეს. აი, ასე ნელ-ნელა, მეთოდურად შეიძლება ამ პროცესების დასრულება, რასაც მეხუთე კოლონა უცხოეთის დავალებით ახორციელებს.

თამარ შველიძე

რაც სამშობლოს დამიგბრევს და გამიუბედურებს, ყველა ქმედება ჩემი სამშობლოს ღალატია!



ქაოსი ჰესიოდეს „თეოგონიაში“, უძველესი, უკიდეგანო და უნაპირო სამყაროს პირველი უფორმო სახე, ყოველგვარი პირქუშის საწყისია. მისგან წარმოიშვა წყვდიადი და ღამე, რომელთაც შვეს დღე.

მოგვიანებით, ფილოსოფოსების მოძღვრებაში ქაოსს სხვა შინაარსობრივი დატვირთვა მიეცა — მასში გულისხმობდნენ მოუწესრიგებელ მასას, რის შემდგომაც წარმოიშვა სამყარო.

საინტერესოდ მომეჩვენა ქაოსის ძველი ბერძნული განმარტებები:

1. „ვიხლიჩები“, „ამოვანთხევ“;

2. უზარმაზარი სიცარიელის, უფსკრულის, წყვდიადის ძველი ბერძნული სახელი-განმარტება — „გახსნა“, „ფართოდ გაღებული“.

ამ ორმა ძველბერძნულმა სიტყვამ მარტივად დახატა, რომ ქაოსი შობს რაღაც ცუდს, უსიამოვნოს, რომელიც აუცილებლად ფართოდ გაიხსნება და წყვდიადიც დასრულდება, ანუ ქაოსის, სიბნელისა და წყვდიადის შემდეგ გაიხსნება ქაოსური წრე და სინათლე, ანუ დღე აუცილებლად დადგება.

აშშ-ში ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ ის იდუმალად ჩამყაყებული ქაოსი შეარყია, რომელსაც თავით ჰყავს ჩათრეული თითქმის მთელი პლანეტა და ახლა ხილული ქაოსი შეიქმნა, თუმცა, სამყაროსავით დროში აჩქარებული.

გადავხედე საქართველოს და შევეცადე დამედგინა, სად ვართ, კოსმიური სამყაროს კანონზომიერების რომელ სტადიაში. საქართველოში, ვფიქრობ, წყვდიადი და ღამე საკმარისი ხანია, რაც შერწყმულები არიან და სადაცაა, დღე უნდა იშვას, რასაც აუცილებლად სინათლე სდევს...

ახლა ის დრო უდგას საქართველოს, „არცერთი ნაბიჯი უკან!“ რომ უნდა გაიხადოს საკონსტიტუციო ლოზუნგად, რადგან ასეთი დრო ძალიან დიდხანს აღარ დადგება და არც გაგრძელდება...

ხელისუფლებამ გვამცნო, რომ სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლი აღდგება, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია!

ვინც მიზეზთა გამო არ იცის, რომ 2007 წლის 27 აპრილამდე მას სამშობლო ჰქონდა და ამ მუხლის ამოღებით შეეცადნენ, ექციათ უსამშობლოდ, მოგვიანებით, მაგრამ მაინც გაიგებს, რომ არსებობს „რაღაც ცნება“, რომლის ღალატიც დანაშაული და, ამავდროულად, სამარცხვინო, თავისმომჭრელი ქმედებაა.

აღნიშნული კანონისთვის სახის მიცემას დიდი მუშაობა არ სჭირდება. 2007 წლიდან დღემდე, არ არის იმდენი დრო გასული, რომ ისეთი ძირეული ცვლილებები მომხდარიყო, რაც უკვე არსებულ კანონს ქმედითუუნაროს გახდიდა. ერთი რამ ძალზე მაინტერესებს, — ვის თვითაღიარებას მოვისმენთ, იმიტომ ვღალატობდი სამშობლოს, რომ ასეთი მუხლი არ იყოო? სხვაგვარად რანაირად იტყვის, მუხლი ამოიღეს, თორემ სამშობლო ადგილზე იყო და ღალატი — სახეზე...

დღევანდელი მსოფლიო ქაოსიდან გამომდინარე, ისეთი კონტურები იკვეთება, რომ ახალ მსოფლიო გადანაწილებაში ევროკავშირი და **NATO** აღარ მოიხსენიება!

როგორც ამ ეტაპზე ჩანს, ევროპა იქნება ის, რაც არის — ცალკეული ეროვნული სახელმწიფოები, ამჟამად კი რჩება თავისი პრობლემებისა და ეკონომიკური მოგუდვის პირისპირ. როგორც ვხედავთ, **NATO**-ც და უკრაინაც ევროპას კიდევ ერთ პრობლემად რჩება.

ელისეს სასახლეში გასულ კვირას შეკრებილების მიერ გამოთქმულ აზრებს თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ ტერიტორია ევროპა იყოფა ისე, როგორც იყო, იმ განსხვავებით, რომ ახლა ერთ ნაწილს ევროკავშირი ერქმევა, მეორე ნაწილს კი ცალკეული სახელმწიფოები. შესაბამისად, აღმოსავლეთ ევროპა ბუფერული ზონა იქნება.

მე ისევ იმ აზრზე ვარ, რომ რუსეთი მიიღებს ბალტიისპირეთს და ეს გარდაუვლად რომ ასე მოხდება, იმიტომაც მტრობდნენ ბალტიისპირელი პოლიტოკოსები საქართველოს მშვიდობას, ხოლო აშშ მიიღებს გრენლანდიას, კანადას და პანამის არხსაც!

ამ ჩამონათვალში საქართველო არც იქით ჩანს, არც — აქეთ. ასეა, აშშ-მა ხელი აიღო, რუსეთი კი, თავის მხრივ, ღვთისმშობელს აბარებს მისივე წილხვედრ საქართველოს...

ცნობისათვის, „3+3“ ფორმატში, საქართველოს სკამი დიდი ხანია, რაც დგას და როგორც ლავროვმა თქვა, ყოველთვის იდგება, სიტყვა მხოლოდ იმ საქართველოზეა, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებული აქვს იმავე ლავროვის რუსეთს — მივედით ვისთვის ვაჭრობის საგნამდე, ვისთვის — საქართველოს ბეჭამდე...

30-წლიანი კრებსითი დასავლეთის მონობის სულისკვეთებით ნასაზრდოები უსამშობლოებისთვის მარტივი არჩევანი დგას, 2000 კმ ევროპამდე და ბევრად ნაკლები თურქეთამდე, — მონური ფსიქოლოგიის ადამიანი დამოუკიდებელ საქართველოში საკუთარი თავისავე ბალასტია!..

ჩემი სამშობლო საქართველო!

აბრეშუმის გზის გარდა, მსოფლიოში ყველაზე გრძელი გზაც საქართველოზე გადის. ამ გზის გავლა შესაძლებელია კეიპტაუნიდან (სამხრეთ აფრიკა) მაგადანამდე. გასავლელად არ არის საჭირო ტრანსპორტი, რადგან ყველგან არის ხიდები. გზის სიგრძეა 22 387 კმ, ხოლო მოგზაურობის დრო 4 492 საათი. ეს იქნება ფეხით უწყვეტი სიარული 187 დღე, ან 561 დღე ფეხით სიარული, დღეში 8 საათი. მარშრუტი მოიცავს 17 ქვეყანას, 6 დროის ზონას და ყველა სეზონს.

ამ პატარა საქართველოში უფლისგან ნაბოძები გვაქვს:

- 26 060 მდინარე;
- 856 ტბა;
- 7-მა მილიარდმა ადამიანმა დღეში 3 ლ რომ დალიოს, მსოფლიო წყლის მარაგის 60%-ს შეადგენს;
- 49 სახეობის ნიადაგი (მსოფლიოში აღიარებულია 52 ტიპის ნიადაგი);
- 2 400 მინერალური სამკურნალო წყალი;
- 2 718 000 ჰა ტყე;
- ინერტული რესურსებისა და მოსაპირკეთებელი ქვების 594 საბადო;
- 130 მლნ ტონა ბენტონიტი;
- ბარიტის 33 საბადო;
- 300 ჰექტარზე გადაჭიმული ტორფის საბადო;
- 13 300 სახეობის ფლორა;
- 80 მლრდ ტონა მარგანეცი (მსოფლიო მარაგის 70%);
- 315 კმ ზღვის სანაპირო;
- 102 კურორტი;
- 68 სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი;
- 11 600 ეკლესია-მონასტერი;
- 500-ზე მეტი სახეობის „ქრისტესსისხლა“ გვაქვს (მსოფლიოში 6-ია, ისიც ველური და მაინც 6-ივე ქართული ჯიშის, რითიც საფრანგეთს 500-ჯერ ვუსწრებთ);
- რვაათასწლოვანი ღვინის კულტურა;
- სამი სახეობის დამწერლობა, სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა და კიდევ ბევრი რამ, მათ შორის, სასარგებლო და ძვირფასი წიაღისეულის სახით.

ჩემს სამშობლოში, წლების წინათ, რამდენიმე პირის პირადი გამორჩენის მიზნით დამკვიდრდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უზნეობა, რაც, ჩემი აზრით, სამშობლოს წინააღმდეგ გამიზნულად ჩადენილი დანაშაულია!

არ მესმის და ვერასოდეს გავიგებ საკუთარი ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გადაცემას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. არ აქვს მნიშვნელობა, რა ვადით!

მაგალითად, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ფინეთში, სინგაპურში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, საუდის არაბეთში, ჩინეთში, ავსტრალიაში და ა. შ. სტრატეგიული ობიექტები სახელმწიფოს ხელშია, ზოგან კი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საწარმო კერძო საკუთრებაა, ნახევრად მაინც სახელმწიფოს ეკუთვნის.

ამ ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფო საკუთრება სტრატეგიულ სექტორში, შეიძლება იყოს ეფექტური მოდელი, რომელიც უზრუნველჰყოფს რესურსების მართვის გამჭვირვალობას, ეროვნული ინტერესების დაცვას და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. უარჰყვეს და გააქრეს, მაგრამ ახლა ხომ შეგვიძლია, „ჰოობა“ ვთქვათ და დავაბრუნოთ ის მიდგომები, რაც სამშობლოს მოღალატე ადამიანებმა გააფუჭეს?

ის, რაც 33-წლიან ანტიეროვნულ, მარიონეტულ, ვაჭრუკანულ მმართველობას მოჰყვა ჩემს სამშობლოში, გამაოგნებელია, ნეტავ, როგორღა ვარსებობთ!

ბატონი ზვიად ტომარაძის მიერ დამუშავებული საქსტატის მონაცემების ჩამონათვალი რომ ვნახე, გული გადამიცივდა. 2023 წლის მონაცემებია:

1) სახელმწიფო საგარეო ვალი: 27 მილიარდ 420 მილიონი ლარი;

2) ვაჭრობა: ექსპორტ–იმპორტის უარყოფითი სალდო 9,4 მილიარდი დოლარი; ექსპორტზე 6 მილიარდის ღირებულების საქონელი გავიტანეთ და 15,4 მილიარდის შემოვიტანეთ, თან ამ 6 მილიარდიდან 3,2 მილიარდი რეექსპორტია;

3) ბანკების წმინდა მოგება 2 მილიარდ 700 000 მილიონი ლარი;

4) აზარტული ბიზნესის ბრუნვა 64,3 მილიარდი ლარი;

5) შობადობა 2023 წელს: 40 214, გარდაცვალება: 42 756;

6) ემიგრაცია: საქსტატის მონაცემებით, მხოლოდ 2023 წელს საქართველო 120 000 კაცმა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა. 2023 წელს ასევე გაზრდილია საქართველოში იმიგრაცია, 26 000 იმიგრანტი შემოვიდა და ქვეყანაში დარჩა;

7) სოფლის მეურნეობა: 2023 წელს 1 მილიარდ 224 მილიონი დოლარი გავიდა ქვეყნიდან სურსათის იმპორტზე.

ხორბალი იმპორტით შემოვიტანეთ 523 ათასი ტონა; სიმინდი–81 ათასი ტონა.

კარტოფილი –35 ათასი ტონა (16 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 2022 წელს); ბოსტნეული — 142 ათასი ტონა (13 ათასი ტონით მეტი); მსხვილფეხა საქონლის ხორცი — 9.5 ათასი ტონა (3,5 ათასი ტონით მეტი); ღორის ხორცი — 33.6 ათასი ტონა (5,6 ათასი ტონით მეტი); ფრინველის ხორცი — 65.4 ათასი ტონა (1,4 ათასი ტონით მეტი); რძე და რძის პროდუქტები — 197 ათასი ტონა (22 ათასი ტონით მეტი); კვერცხი — 62 მილიონი (25 მილიონით მეტი);

რაც შეეხება პირუტყვის და ფრინველის სულადობას, 2023 წლის ბოლოს გვყავდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 837.7 ათასი (16 ათასით ნაკლები ვიდრე 2022 წლის ბოლოს);

ღორი 141.6 ათასი (8 600–ით ათასით ნაკლები);

ცხვარი და თხა 761.7 ათასი (152,3 ათასით ნაკლები);

ფრინველი 7629.3 ათასი ფრთა (1 მილიონ 326,5 ათასი ფრთით ნაკლები).

საქართველოს ხელისუფლებამ, მისმა მმართველმა გუნდმა უნდა გაიგოს, რომ, როდესაც პრეტენზია აქვს სახელმწიფოს მართვაზე და ხალხიც ენდობა, ხმას მისცემს არჩევნებზე და დაიქირავებს, რათა ხალხს ემსახურონ, იმავე ხალხს უნდა მოუსმინონ — ხალხზე უკეთ

არავინ იცის, რა სჭირდება ხალხს!

ნამდვილად, უპირველესად აღსადგენია „სამშობლოს ღალატის მუხლი“, მაგრამ ისეთი ქაოსიდან ვძვრებით, საჭირო და აუცილებელია ყველაფრის დაჩქარება, უვარგისის მოშორება და სასარგებლოდ საჭიროს შეთვისება. დაწყებული კონსტიტუციიდან სამარცხვინო მუხლების ამოღებისა, რომელშიც რაღაც ორგანიზაციებში გაწევრიანებისკენ სწრაფვაზეა საუბარი და სისხლის, სამოქალაქო თუ სხვა კოდექსებიდან. „ცილისწამების შესახებ მუხლი“ ერთ-ერთ უმთავრეს აღსადგენად მიმაჩნია – დავიღალეთ ამდენი ცილისწამებების მოსმენით! ამდენი დეზინფორმაციით! ამდენი თავგასულობით! ამდენი შერჩევითი სამართლით – აბსოლუტურად მისახედია კანონი და კანონიერება, სამართალი და სამართლიანობა დაჩქარებულად, ტემპში!

მაგრამ... არის ძალიან საგულისხმო ცუდი „მაგრამ“!

გავიგეთ, რომ უდიდესი გარე ზეწოლის ქვეშ იყო საქართველოს ხელისუფლება 2012 წლიდან 2025 წლამდე, მაგრამ როდესაც სამშობლოს ღალატის მუხლს აბრუნებს ქვეყნის მმართველი გუნდი, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის მე-13 წელს ითვლის, მას აღარ უნდა

ჰქონდეს იმ სამშობლოს ღალატის გამოხატული ნიშნები, რომლის დასაცავადაც ამ კანონს აბრუნებს.

საქმე ის არის, რომ თავისივე აღდგენილი კანონით მოუწევს გასამართლება მის აღმდგენს, თუ:

არ მოახრჩობს იმ კანონმდებლობას, რომელიც სავსეა ულტრალიბერალური, ე. წ. გენდერული კანონებით და მხოლოდ სიტყვა გენდერის განმარტება შეიცვლება ქალითა და კაცით;

თუ არ გამოვა „ოქროს მილიარდზე“ დაგეშილი ჯანმო-დან;

თუ არ გამოვა ახალაგაზრდების დამაჩლუნგებელი „ბოლონიის პროცესიდან“;

თუ არ გამოვა „კლიმატური“ სიგიჟიდან“ და ყურით მოთრეული მისი მსგავსი ყოველგვარი ცალმხრივი ვალდებულებებიდან:

თუ „სასურსათო უსაფრთხოებას“ არ შექმნის და კვების ძირითადი პროდუქტების იმპორტზე იქნება დამოკიდებული;

თუ ადგილობრივ მეწარმეებს ხელს არ შუწყობს, ტურიზმზე და ემიგრანტების ფულად გზავნილებზე იქნება დამოკიდებული;

თუ იმას არ უშველის ხალხისთვის უმტკივნეულოდ, რომ 10,3 მლრდ დოლარი გვაქვს უარყოფითი ბალანსი ექსპორტ-იმპორტს შორის;

თუ 24, 2 მლრდ-მდე აყვანილ საგარეო ვალის კლებას არ დაიწყებს, სანამ მის სანაცვლოდ ვინმეს, საქართველოსთვის „რამე დამაქცევარი“ არ მოუთხოვია;

თუ არ შექმნის რეალურ მწარმოებლურ სამუშაო ადგილებს ფაბრიკა-ქარხნების სახით;

თუ არ მიხედავს ფასების ზრდას, რაც უკონტროლოდ მიშვებულია, ევროპულ ფასებს გაუტოლდა და რიგ პროდუქტებზე ბევრად აჭარბებს კიდეც;

თუ არ მიიღებს „მიწის კოდექსს“ (ერთადერთი ქვეყანა ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ვისაც მიწის კოდექსი არ აქვს!)!

თუ არ აღადგენს საქართველოს სანაოსნოს;

თუ არ შეწყდება ბანკების მიერ ხალხის ძარცვის ხელშეწყობა და არ დავა ბანკების მოგება იმ ნიშნულამდე, რომელ ნიშნულზეც იყო მის ხელისუფლებაში მოსვლამდე – ბანკების წმინდა მოგება 134 მლნ ლარი იყო, ახლა 3 მლრდ-მდეა;

თუ არ მიეხედება იმას, რომ ტრანზიტული ქვეყანა ვართ, ნავთობისა და ბუნებრივი აირის გატარებით მიღებულ სარგებელს უნდა ვგრძნობდეთ ხალხი, მაგრამ ვერაფერს ვიგებთ, იმიტომ, რომ ვიღაც-(ებ)ასთან ილექება;

თუ არ შეჩერდება ქალაქების ბეტონის ქალაქებად გადაქცევა, ნაცვლად იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს, რაც უკანონოდ და საეჭვოდ არის აშენებული. დემონტაჟი ჩაუტარდეს და ზარალზე პასუხისმგებლობა მას დაეკისროს, ვინც სხვები აზარალა – ძველ ბათუმს ვეღარ ვცნობ და მამა დავითი აღარ ჩანს, აღმოსავლეთიდან რომ შემოვდივარ თბილისში!

იმდენი რამ არის საქართველოში საქართველოს საზიანოდ დაკანონებული, ყველაფერს ერთი კვირის განმავლობაში ვერ ჩამოთვლის ადამიანი...

ეს ყველა პრობლემა მოგვარებადია და ყველა მათგანი შესაბამისი მიმართულების მინისტრებისა და მათი უწყებების მოსაგვარებელია, მხოლოდ ლაპარაკით საქმე არ კეთდება!

თუ ხელისუფალს სამშობლო გიყვარს და მისი ღალატი დანაშაულად მიგაჩნია, რაც შენ დაგიშავებია, იმის გამოსწორებასთან ერთად, სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულიც უნდა გამოასწორო, დამნაშავეებმა კი პასუხი ისეთი სიმკაცრით უნდა აგონ, რომ სხვას დანაშაულის ჩადენის სურვილი გაუქრეს.

ასე მესმის პირადად მე სამშობლოს ღალატის მუხლის ამოქმედება მართებულად, რადგან არ მიმაჩნია, რომ სამშობლოს ღალატი მხოლოდ სამხედრო, სტრატეგიული ან სხვა საიდუმლოებების მესამე პირისთვის გადაცემაა...

რაც სამშობლოს დამინგრევს, დამისახიჩრებს და გამიუბედურებს, ყველა ქმედება ჩემი სამშობლოს ღალატია!

მაია ჯელიძე

თავისუფლების ქანდაკება ბარგი ჩაალაგა...

3 გვ.

დახიოს მუხაესტატელმა კოჭლმა ტურამ!

ვინცხა იმისი არ იყოს, 1947 წლიდან აშშ-ის თავდაცვის კმაყოფაზე დასხდნენ, განვითარდნენ, გაძღნენ, ბოლომდე გამოქლიავდნენ. ჯარები, ფაქტობრივად, გააუქმეს — ჯარში წასვლა არავის უნდა. გადაერთვნენ მოქანავე კურტუმოების იდეოლოგიაზე, მცონარობას მიაწვნენ ბოლომდე და უცბად, ბრახ! მოხვდათ თავში ტრამპის „კუვალდა“, ჩამოემხოთ თავზე ყველაფერი. ახლა, ამათი ტირილის შემხედვარე, შეკითხვა მიჩნდება: აი, ამ იდიოტებთან რა გვინდა, რომლებმაც, უბრალოდ, არ იციან, რა ქნან?!

მიშას ქრთამისტი კარლ ბილდტი გადაირია, ტრამპი გაგიჟდა, მისი სასტიკი თავდასხმა პრეზიდენტ ზელენსკიზე და უკრაინაზე, სრულად პუტინის მსგავსიაო. ტრამპმა ოკეანის გაღმიდან ყველას გასაგონად გამოიძახა, პუტინი კი არა, მე ვამბობ და გირჩევთ, გაიგოთო.

უსამშობლო და ანტიტრამპისტულ გაგებაში რა ხდება, — ლტოლვილების ჰუმანიტარული დახმარების შთანმთქმელი კობა სუბელიანი აღარც მახსოვდა, თუ არსებობდა, მაგრამ ამერიკაში მოტაქსავემ თუ ტრაილერზე მომუშავემ, ისე დაახურა დედა თავზე ტრამპს, შენი, პუტინის ჩმორი და უსამართლო დედა მო***ნო, თითქოს უგულავას ჩმორი მე ვიყავი.

ახალგაზრდა ყმაწვილს რატომღა სწირავს გაბეყილი მამა ზვარაკად საქართველოს მერამდენეღაც უქარქაშო სირცხვილად, ვერ ვხვდები — პატარა გუბაზიჩიც ტრამპს დასცინის, მისი რეიტინგი მცირდება, ზელენსკისა კი იზრდებაო და ნაცმო-ს ეხუტება.

ტრამპის აუტანლობით აშშ-ის პირველი დროშაც დაიწვა რუსთაველზე. კოლექტიური ე. წ. დასავლეთი ნეტარად დუმს აშშ-ის საელჩოს ჩათვლით, მერე რა მოხდა, განა ევროკავშირის დროშაა, რომ ავყვირდეთ და დროშის დამწველის დაჯარიმება ან დაპატიმრება მოვითხოვოთ, 2025 წლის 20 იანვრიდან ასეთი საქციელი მხოლოდ მოსაწონია, დემოკრატიის წინსვლის გამოხატულებაა, — ასე გვიწერია კონსტიტუციაშიო. კაცო, აქამდეც გვეწერა, მაგრამ გააჩნია, როდის როგორ გვაწყობს აშშ-ის კონსტიტუციაო.

ასეთი სერიოზული ამბები ხდება მსოფლიო პოლიტიკურ ველზე და ეს ჩვენი ყოვლად უ-ები ფიტულების დაწვას, ვითომ ჯადოების კეთებას, ვითომ შელოცვებს და დოლების რახუნის ფონზე უახრო ტექსტების ხავილს ვერ მოეშვნენ, — ფსკერიც გახვრიტს უკვე და მის მიღმა ჩავარდნენ.

ამ ფონზე ადეკვატური ინგა გრიგოლია გამოჩნდა, „ლელო“ გააბანდა, რა მოიგეთ, მანდატები რომ დაყარეთო? იქითა მხრიდან რა ილაყლაყეს, აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან ინგამ თვითვე უპასუხა უსიტყვოდ, „სამში გრძელიო“... ზოგადად ესადაგებათ ეს პასუხი, დაწყებული იმით, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები მოიგეს...

კვერცხებნაბაზუნებ გახარიას უთქვამს, ჩემს უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოო, — ქოლგის ყიდვას რად უნდა განცხადება, წავიდეს ლილოში და ისეთი კარგი შავი ქოლგების არჩევანია, მეორე ნაკვერცხალს რომ პარიზშიც კი არ უნახავს... ისე კი, კვერცხებზე იქნება თუ ქათმების კრიახზე, ამათ საჩივრები სად შეაქვთ ხოლმე? რა ვიცი, 27 ოქტომბრიდან არალეგიტიმურად აქვთ გამოცხადებული ყველაფერი და...

ქართველებს რომ არაფერი გვრჩება იუმორის გარეშე, — „მიშა ამაღლობელმა შიმშილობა შეწყვიტა!“ „მიშა ამაღლობელი გაძღა!“ — მეორე სეზონის დასასრული სერიალ „ვივამედელ ტანჯულთა“ შემქმნელებისგანო.

ლაშა ბუღაძე ადგილს ვერ პოულობს, ზელენსკის კბილებით უჭირავს პლანეტაო. ალბათ, ეშინია, სტომატოლოგმა ტრამპმა კბილის ამოღება არ გადაუწყვიტოს და პირი არ დააღებინოს უცბად, — კი გადმოუვარდება ევროპა და ტრამპამდელი აშშ...

ვის რა სადარდებელი აქვს, ვეღარ გაიგებ, — „ტაბულა ბიცოლამ“, იგივე „მანგუსტამ“, იგივე თამარ ჩერგოლეიშვილმა ვედრება აღავლინა გირჩ-ჯაფარაზე: ვინმემ შეიზილეთ ეს, უპატრონოდაა, რაც „კეზერამ“ მოიწყინა და ძალიან გვაწუხებსო. უპატრონო უსამშობლო, ნამეტანია!..

იქით ტოპ-ტვინმა დამცა, რა ვქნათ, თუ „ფარა“ ამერიკულია, საქართველოში ის მაინც რუსულიაო. რა სახის ავადობასთან გვაქვს გეგელიას შემთხვევაში საქმე, იმას ვარკვევდი და ბატონმა ზურაბ ქადაგიძემ გამარკვია, — ტვინში ჰიპოფიზის ჯირკვალია პასუხისმგებელი ადამიანის განვითარებაზე, თუმცა, მის შემთხვევაში, აშკარად კუდუსუნის ძვალია პასუხისმგებელიო.

„რუსულზე“ გამახსენდა, — რას ფიქრობთ მაკრონის განცხადებაზე, უკრაინაში საფრანგეთის ჯარის შეყვანის თაობაზე? — დეერეფანში გეზაღებულ შეხვედრის მონაწილეებს დაედევნენ ჟურნალისტები და ერთმა მათგანმა კონკრეტულად სერგეი ლავროვს მიმართა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ჩირთიფირთობის დრო არ ჰქონდა, ერთი მიიხედა, რომელმა მკითხაო და თავის გაგებაში ჩაიბუტბუტა **ёб твою мать**-ო, მაგრამ ჩვენ კი გავიგეთ აგერ, ჩელიაბინსკში...

გახარიას რომელიღაც ტოპ-ტვინმა დასკვნა დადო, ტრამპმა აშშ-ში პუტინის პოლიტიკა დაიწყოო და გახარიამ დაუმატა, ტრამპი ხავსიაო.

სადღაციდან გამოწველილმა ნინო კალანდაძემ უფრო განავრცო, კონსპირაციები იმის თაობაზე, რომ ტრამპი კაგებეს აგენტია, რუსებს ნაყიდი ჰყავთ, კომპრომეტირებულია, — საინტერესოა და გამორიცხულიც არაფერიაო. ვაჰ, ვინც ამათ პოლიტიკოსები დაარქვა, ხომ უნდა ახოხიალო სახით... — ჰო, საინტერესოა და გამორიცხული არ არის, რომ ტრამპი გადაებირებინა „კგბ“-ის 1-ელ განყოფილებას, რომელიც კურირებდა აშშ-ს და კანადას, მაგრამ ნეტავ, რომელ წელს? თეფში დავატრიალე და პრიმაკოვის სულმა სული აიჩეჩა, ეგეთი არავინ მახსენდება 1955 წლიდან 1991-მდეო და სახაროვსკის სული რატომღა შემეწუხებინა. ჰოოო, ეტყობა, როგორც „დიდმა კობამ“ თქვა, კონკრეტულად პუტინის „შნირია“...

გავხედე და, მარტის ბოლოდან საქართველში ოთხი ახალი ავიაკომპანია შემოდისო: ლონდონიდან, პარიზიდან, მილანიდან, ჟენევიდან და ციურიხიდანო, — ვერ გავიგე, უბრალოდ, თითით საჩვენებლები გავხდით, თვალით უნახავი თითით საჩვენებლები, თუ ჩვენთან ჩასახლებას გეგმავენ ჩვენს გასაევროპელებლად...

ასეთი ამბებია ჩელიაბინსკურ ვაშინგტონში და პირიქით — თავისუფლების ქანდაკებამ ბარგი ჩაალაგა და ქართვლის დედასთან შეხვედრა გადაწყვიტა, ჭეშმარიტი ჩელიაბინსკელები კი ინტერესით უყურებენ ათრთოლებულ მეტეორიტს, რომელიც, თავის მხრივ, ფიქრობს, ღმერთო, რომელიმე ჩელიაბინსკი არ მტყორცნოო...

ზურა ოშხერელი

საზოგადოება ჟურნალისტებს მტრად აღიქვამს, რაც ჩვენი პროფესიისთვის კატასტროფაა

გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი:

- ბატონო ბონდო, პარლამენტმა „მედიის შესახებ“ კანონი დაარეგისტრირა, რომელიც ბრიტანული კანონმდებლობის ანალოგია. როგორც მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, ამ კანონის მიხედვით, მედიის ობიექტურობა და ჟურნალისტიკის ეთიკის სტანდარტები დადგინდება. ასევე, შეიზღუდება მედიის უცხოური წყაროებიდან დაფინანსება. თქვენ რამდენად ემხრობით ამ კანონს?

- სამწუხაროდ, ბოლო წლებში მასმედიის მიმართ ნდობა გაქრა და მეტწილად, აგრესიული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, ჟურნალისტების მიმართ პატივისცემა გაქრა და ამის საწინააღმდეგოდ, მათ მიმართ შიში და სიძულვილი გაჩნდა. არადა, წლების განმავლობაში ჩვენი პროფესიის ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჟურნალისტებს პროფესიული ავტორიტეტი შეენარჩუნებინათ. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, თითოეულ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, ხელისუფლების მხრიდან რეაგირება მოჰყვებოდა ხოლმე. ბოლო ათწლეულები კი, საერთოდ აღარ აქვს მნიშვნელობა, ჟურნალისტი რას იტყვის ან დაწერს. აქ მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულებას როდი ვგულისხმობ, რომელიც, ჟურნალისტის მიმართ უნდობლობის გამო, არც მის პუბლიკაციას თუ სიუჟეტს ენდობა, ხელისუფლების, სამართალდამცავების დამოკიდებულებაც მკვეთრად შეცვლილია. 90-იან წლებში მოქმედი კანონმდებლობით, თუკი მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია სამართალდარღვევის ნიშნებს შეიცავდა, ეს აუცილებლად გამოძიების დაწყების მიზეზი უნდა გამხდარიყო. დღეს მედია იმდენ დეზინფორმაციას ავრცელებს, რომ შეუძლებელია გარკვევა, სად იკვეთება რეალურად სამართალდარღვევის ნიშნები და სად, უბრალოდ, ცილისწამებაა. სამართალდამცავ ორგანოებს ცილისწამების გადამოწმების რესურსი არ გააჩნიათ. ამიტომ ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, - ყველას ყველაფრის უფლება აქვს.

ჩემი აზრით, ცილისწამება კანონით უნდა ისჯებოდეს. პირებმა, ვინც ადამიანის რეპუტაციის შელახვას, დისკრედიტაციას მიზანმიმართულად ცდილობენ, პასუხი უნდა აგონ. დღეს რას ვხედავთ? - ჟურნალისტები კონკრეტული სამიზნეების განადგურებაზე მუშაობენ. ბევრმა ჟურნალისტმა, ვისაც არც სათანადო განათლება აქვს და არც ჟურნალისტურ სტანდარტებზე სმენია რამე, ხელში მაზვილი, ანუ მიკროფონი, დიქტოფონი თუ კალამი აიღო და ეს საზოგადოების განადგურებისკენ მიმართა, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო. სამწუხაროდ, დღეს ჟურნალისტიკა საზოგადოებას დაუპირისპირდა. ამიტომაც არ მიკვირს ის უნდობლობა, რაც ხალხს მის მიმართ აქვს. საზოგადოება ჟურნალისტებს მტრებად აღიქვამს, რაც ჩვენი პროფესიისთვის კატასტროფაა. ნებისმიერ ხელისუფლებას სურს, რომ მასმედიას აღვირი ამოსდოს. პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, ცდილობს მედიის კეთილგანწყობა მოიპოვოს, რათა ამ უკანასკნელმა მის აღმასვლას ხელი შეუწყოს. თუმცა, ჩვენი კონსტიტუციის და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირობებში, მედიის მართვა რთულია.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვუჭერ მხარს „მედიის შესახებ“ კანონს. ბოლო წლებში აშკარა გახდა, რომ მედიის საზოგადოებასთან დაპირისპირებამ ჟურნალისტების მიმართ უზარმაზარი აგრესია გააჩინა. აღნიშნული კანონი კი, უპირველესად, საზოგადოების ინტერესების დაცვასაც მოემსახურება და მედიისასაც. როცა სტანდარტებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებმა გადამოწმებული ინფორმაცია გაავრცელონ, სადაც უტყუარი ფაქტები იქნება მოყვანილი. ასეთი ჟურნალისტის მიმართ მაყურებელს თუ მკითხველს ნდობა ყოველთვის ექნება, მაგრამ როცა ინფორმაციას იგონებ და რეალური

წყარო არ არსებობს, აქ ნდობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგალითად, „რუსთავი-2“-ს ჰქონდა სლოგანი — „ახალი ამბები კეთდება აქ“. ახალი ამბავი „ნიუსრუმში“ ვერ გაკეთდება, ის უნდა მოხდეს, შემდეგ ჟურნალისტმა მოიპოვოს, აღწეროს, გაავრცელოს და არა - „გააკეთოს“. სამწუხაროდ, ახლა წინა პლანზე სწორედ ახალი ამბების „გამკეთებელი“ ჟურნალისტები არიან წამოწეული. შედეგად, საზოგადოებაში მათ მიმართ ნდობა არ არსებობს.

კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე პოლიტიკური პოლარიზაცია გახლავთ. კერძოდ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს და მათ მხარდამჭერებს არა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის თანამგრძნობი ტელევიზიები და ჟურნალისტები სძულთ, არამედ ამ მედიასაშუალებებში მიწვეული სტუმრებიც. საბოლოოდ, პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, ჟურნალისტების ინსტრუმენტალიზაციამ, პოლიტიკური პარტიების მიერ ტელევიზიებში უზარმაზარი ფულის ჩაყრამ და, შესაბამისად, მათი აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებებად გადაქცევამ, სრულიად მედიის დეგრადაცია გამოიწვია. ეს არასწორი გზაა. ტელევიზიები კონკრეტული პოლიტიკური ძალების ღია მხარდამჭერები არიან. ამ პირობებში მედიის ობიექტურობაზე საუბარი ზედმეტია. უფრო მეტიც, ჟურნალისტები აქტივისტებად იქცნენ და „ტექნიკური მთავრობის“ შექმნასაც კი ცდილობდნენ.

კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი პრობლემაა უცხოური დაფინანსება. გასაგებია, რომ უცხოური გრანტებით დაფინანსებული მედიასაშუალებები ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების გავლენას ნაკლებად, ან საერთოდ არ განიცდიან, მაგრამ რა იმალება ამ „საერთაშორისო ალტრუიზმის“ მიღმა? ვინ ცდილობს მედიის საკუთარ სამსახურში ჩაყენებას და უცხოეთის რომელი ქვეყნის სპეცსამსახურების ყურადღების არეალშია მოქცეული ეს პროცესი? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ხელისუფლებასაც მოეთხოვება, რადგან ისტორიამ მიზანმიმართულად დაფინანსებული მედიის სახელმწიფო უსაფრთხოების წინააღმდეგ გამოყენების არაერთი ფაქტი იცის.

ერთადერთი მედიასაშუალება, რომელსაც კანონის თანახმად მიუკერძოებლობა მოეთხოვება და შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილებას მაქსიმალურად ცდილობს, „საზოგადოებრივი მაუწყებელია“. ამ არხის ჟურნალისტს შესაძლოა, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ სიმპათია-ანტიპათია ჰქონდეს, მაგრამ სატელევიზიო ეთერში წამყვანის, პროდიუსერის, გენერალური დირექტორის, სამეურვეო საბჭოს წევრის და ა. შ. განწყობების ასახვა დაუშვებელია. მეც სამეურვეო საბჭოს წევრი ვარ და კარგად მესმის, რომ გადაცემების მომზადებაში არ უნდა ჩავერიო. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დაფინანსების წესი ამ არხის ჟურნალისტებს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს. რაც შეეხება სხვა ტელევიზიებს, ამ მხრივ კატასტროფული ვითარებაა. მათი მესვეურები ღიად საუბრობენ, რომელ პოლიტიკურ ძალას უჭერენ მხარს. კარგი იქნება, „გირჩის“ მსგავსად, სხვა პოლიტიკურ ჯგუფებსაც ღიად პარტიული ტელევიზიები თუ ექნებათ. ასე მაყურებელსაც ეცოდინება, რომ ამ ტელევიზიებში კონკრეტული პარტიების პოლიტიკური ლიდერები იქნებიან მიწვეულნი. პირადად მე ასეთი გულწრფელობა მირჩევნია, ვიდრე ის, რომ ობიექტურობის საფარქვეშ დეზინფორმაციას გვაწვდიდნენ, რაც ფართო მაყურებელში სერიოზულ დეზორიენტირებას იწვევს. თუმცა, ბოლო წლებში, ჟურნალისტები საზოგადოების დეზინფორმაციით გამოკვებას ვეღარ ახერხებენ, ხალხმა ტყუილ-მართლის გარჩევა ისწავლა. მთელი საზოგადოების მოტყუება უკვე შეუძლებელია. თუმცა, აქვე მეორე უკიდურესობა მივიღეთ. როგორც ნათქვამია, ადამიანს ვინც მოსწონს, მისთვის ლამაზიც ის არისო. ანალოგიურად, ვისაც მხარს უჭერენ, მათთვის სანდო ინფორმაციასაც ის ავრცელებს, რაც საზოგადოებაში დაპირისპირების გაღრმავებას ხელს მეტად უწყობს. შედეგად, ვერსად ნახავთ ადგილს, სადაც შეიძლება ადამიანებმა ერთმანეთში განსხვავებული მოსაზრებები გაცვალონ და, თუნდაც მწვავე კამათის ფონზე, საერთო აზრამდე მივიდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობენ პოლიტიკოსები და მედიასაშუალებები, რომლებიც ტელეეთერებიდან წარმოუდგენელ სიყალბეს ავრცელებენ და ამას მიუკერძოებელ ჟურნალისტიკად წარმოაჩენენ. თუკი მედიის კანონი ამ ყველაფერს მოაწესრიგებს, უპირველესად, ჟურნალისტებისთვის იქნება სასარგებლო, საზოგადოებასაც ძალიან წაადგება და პოლიტიკურ პროცესსაც მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს.

- „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით, ჩემთან მის ყოფილ ჟურნალისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ოცნებობენ, ეს არხი რეალურად ხალხის კუთვნილება გახდეს. ფაქტია, დღეს მას დიდი რეიტინგი არ აქვს...

- როცა მეურვედ ამირჩიეს, ბევრი გამოთქვამდა მოსაზრებებს, თუ



როგორი უნდა იყოს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. რამდენიმეთვიანი დაკვირვების მერე, დავასკვენი, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ერთგვარი „მულტიფუნქციური რესტორანია“, სადაც ყველა სახის სატელევიზიო პროდუქტი მზადდება - პოლიტიკური, ეკონომიკური, შემეცნებითი, გასართობი, სპორტული და სხვა. ასევე, გარედან სტუდიური პროდუქტის შესყიდვაც სავალდებულოა. მისი არსი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ესმის, რაც სერიოზული პრობლემაა. პოლიტიკურ პარტიებს და ცალკეულ ჯგუფებს საკუთარი „მენიუ“ მოაქვთ, ეს ტელევიზია კი კანონით დაწესებულ მოთხოვნებს, ვალდებულებებს ასრულებს.

რაც შეეხება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეიტინგს, ის მაღალი ვერასდროს იქნება. დააკვირდით ამ არხის და იმ ტელევიზიების პროდუქტს, რომელთაც მაღალი რეიტინგი აქვთ. მაგალითად, მმართველი პარტიის მხარდამჭერ ტელევიზიას - „იმედს“ მაღალი რეიტინგი აქვს, რაც ნიშნავს, რომ მას ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. ამავდროულად, ეს ირიბად ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უფრო ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე სხვა დანარჩენ პარტიებს. ოპოზიციური ტელევიზიის რეიტინგები რომ შევადაროთ, ეს იმ შედეგებს უახლოვდება, რაც არჩევნებში მათ მიერ მხარდაჭერილმა პარტიებმა მიიღეს. ეუთო/ოდირმა თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ არჩევნების გაშუქების დროს, აბსოლუტურად ყველა ტელევიზია მიკერძოებული იყო. მათგან ერთადერთი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გამოირჩეოდა, რომელიც ყველა პარტიის პოლიტიკურ აქტივობას აშუქებდა. დასკვნაში აღინიშნა ისიც, რომ მმართველი პარტია უფრო მეტად ჩანდა. ეს განპირობებული

იყო იმით, რომ „ქართული ოცნება“ მმართველი პარტიაა და და წინასაარჩევნო პერიოდში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაც აქტიურად შუქდებოდა. ასე რომ, მიუკერძოებლობიდან გამომდინარე, ამ არხისადმი ნდობა უფრო მაღალია. დიახ, ნდობა მაღალია, მაგრამ რეიტინგი - არა. ეს განპირობებულია იმით, თუ საზოგადოების რა ნაწილი რომელ პოლიტიკოსებს უჭერს მხარს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით ყველა სარგებლობს, ინფორმაციის გავრცელებაც ყველას შეუძლია სხვადასხვა პლატფორმებზე, მაგრამ მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელებასა და დეზინფორმაციის აღკვეთაზე პასუხისმგებლობა რედაქციებს აკისრიათ. თუ გვინდა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ ნდობა გაიზარდოს, შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ. მაგალითად, როცა გარკვეულ პროცესში უშუალოდ ვმონაწილეობ და მერე ვხედავ, რომ ამა თუ იმ მედიასაშუალებამ აღნიშნული ფაქტი სწორედ ისე გააშუქა, როგორც ადგილზე ყოფნისას პირადად ვიხილე, ასეთი გაზეთის, ტელევიზიის თუ ონლაინგამოცემის მიმართ ნდობა მიჩნდება. სწორედ ასე წვეთ-წვეთობით, ინდივიდების ნდობიდან ჩნდება საზოგადოების ნდობა მედიის მიმართ.

მაგალითად, ახლახან ბაკურიანში „EYOF-2025“ - ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაიმართა. საქართველოში 49 ქვეყნის დელეგაცია, 2000 სტუმარზე მეტი და 1000-მდე სპორტსმენი ჩამოვიდა, რადიკალურ მედიას კი ეს მოვლენა საერთოდ არ გაუშუქებია. არადა, ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო. ასეთი მოვლენის იგნორირების მერე, როგორღა დავიჯეროთ, რომ ეს ტელევიზიები მიუკერძოებელნი არიან?! ისინი პოზიტიურ მოვლენებს საერთოდ არ აშუქებენ, რადგან ჰგონიათ, რომ ამით ქულებს ხელისუფლება ჩაიწერს. სინამდვილეში, ამით ხომ ქვეყანამ მიიღო სარგებელი. საქმეს თუ ქვეყნის და ადამიანის სიყვარულით არ აკეთებ, ასე არაფერი გამოვა. ზოგადად, უპირველესად, სამი პროფესიის წარმომადგენელს მოეთხოვება ადამიანის სიყვარული - ექიმს, მასწავლებელს და ჟურნალისტს. ანუ, ეს არის ფიზიკური გადარჩენა, სულიერი აღზრდა და ინფორმირება, რაც დროსა და სივრცეში პიროვნების სწორად ორიენტირებას იწვევს. აი, ამის ხელშეწყობას ცდილობს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. მუდმივი დეზინფორმაციის პირობებში ადამიანები სწორ არჩევანს ვერ აკეთებენ, რაც ჟურნალისტთა დიდ ნაწილს არ ესმის, სამწუხაროდ, ნაწილს კი ესმის და, რაც კიდევ უფრო უარესია, მიზანმიმართულად ცდილობს სიყალბის გავრცელებას. კი ბატონო, ყველას თავისი არჩევანი აქვს, მაგრამ ამით ქვეყანას არ უნდა უმტროს, არ დააზიანოს. როცა ხალხის მოტყუებას მიზანმიმართულად ცდილობ, ეს საზოგადოების წინაშე დანაშაულის ჩადენის ტოლფასია.

- თქვენ ახსენეთ, რომ ადრე ჟურნალისტის პროფესია პრესტიჟული იყო. ახლა კი, როცა ერთ-ერთ ტელევიზიაში ჩემი ჟურნალისტური ბიოგრაფიით მივედი, მითხრეს, რომ მუშაობის დასაწყებად ჟურნალისტობა სულაც არ არის აუცილებელი. ჩვენ ჟურნალისტიკა წაგვართვეს. ჟურნალისტიკა საზოგადოებასაც წაართვეს, სახელი - ჟურნალისტიც გაუფასურდა. მე-19 საუკუნეში ჟურნალისტიკაში ილია რომ გამოჩნდა, თავისი სტილისტიკით იმდენად მკვეთრი იყო, რომ მან, როგორც პუბლიცისტმა, ერის მენტალიტეტი შეცვალა. ერის მამის სტატუსი, მან, როგორც პუბლიცისტმა მოიპოვა...

- დიახ, სწორად აღნიშნეთ, მაშინ ილიამ საზოგადოება გამოაფხიზლა. თუმცა იმ პერიოდში, დღევანდელისგან განსხვავებით, საქართველოში წერა-კითხვა ძალიან ცოტამ იცოდა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ სწორედ ამიტომ შეიქმნა. ილიას ნააზრევს ის ადამიანები კითხულობდნენ, რომელთაც გარკვეული განათლება ჰქონდათ მიღებული. ეს მათ გამოსაფხიზლებლად უფრო იყო, რათა ის იდეები, რაც ილიას ჰქონდა, იმ ხალხშიც გავრცელებულიყო, ვინც წერა-კითხვა არ იცოდა. დღეს რა შეიძლება გაკეთდეს და როგორ ვიმოქმედოთ მედიის კანონის მიღების პირობებში?! თქვენ დიდი ხანია, ჟურნალისტიკაში ხართ და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან საუბარი გიწევთ. დავუშვათ, რომ მე ქირურგი ვარ, რომელმაც ექვსი წელი სამედიცინო უნივერსიტეტში ვისწავლე, მერე ხუთი - რეზიდენტურაში, ჩავაბარე გამოცდები, მერე სერტიფიკატის ასაღებად ცალკე კურსები გავიარე და გამოცდა ჩავაბარე. ანუ, 12 წელი ვისწავლე, რათა საოპერაციო მაგიდასთან ქირურგი ოპერატორის ასისტენტად დავმდგარიყავი და ამ დროს მოდის ახალგაზრდა ჟურნალისტი, ცხვირწინ მიკროფონს მიტრიალებს და მეუბნება: რომ ვალდებული ვარ, შეკითხვებზე ვუპასუხო. რა დამოკიდებულება გამიჩნდება მის მიმართ?! ის 18 წლისაა, მე კი, სკოლის ჩათვლით, 22 წელი ვისწავლე და ვიღაც საქმის უცოდინარი აგრესიით მოდის და ინტერვიუს მთხოვს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ 22-წლიანი სწავლის შემდეგ, უკვე 20-30 წელია, ქირურგად ვმუშაობ, მოდის 20 წლის ჟურნალისტი და გონორით მელაპარაკება. მის მიმართ, რა დამოკიდებულება მექნება?! ერთადერთი, რამაც შეიძლება ამ ადამიანის და მედიასაშუალების მიმართ პატივისცემა გამიჩინოს, ინფორმაციის პატიოსნად გაშუქებაა.

სამწუხაროდ, ჟურნალისტებს და რესპონდენტებს შორის ურთიერთპატივისცემა სადღაც დაიკარგა, რაც სერიოზული პრობლემაა. ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ აკადემიური წრეების წარმომადგენლები, თავისი დარგის აღიარებული პროფესიონალები მედიასთან არ ურთიერთობენ მათი მიკერძოებულობის და ანგაჟირებულობის გამო. არადა, სწორედ ამ ადამიანების აზრია საინტერესო. მოვიკითხე და მითხრეს, რომ გალანძღვას ერიდებიან. ეს არ არის ნორმალური ვითარება.

ჩემი აზრით, გაზეთები და ტელევიზიები დიდ შეცდომას უშვებენ, როცა გამოუცდელ ჟურნალისტებს იმ რესპონდენტებთან აგზავნიან, რომელთაც თავიანთ პროფესიაში წარმატებას მიაღწიეს და სახელი დაიმკვიდრეს. ჟურნალისტებს შესაბამისი განათლება და გამოცდილება უნდა ჰქონდეთ. არ შეიძლება პროდიუსერმა ჟურნალისტი ისრად გამოიყენოს, მშვილდში მოზიდოს და კონკრეტულ სამიზნეს დაუმიზნოს. 35 წელია, ჟურნალისტიკაში ვარ და მედიათა ხელმძღვანელებს სულ ვეუბნები: რასაც თქვენს თავს და პროფესიას არ აკადრებთ, იმას ამ ბავშვებს ნუ აკეთებინებთ, ნუ ანგრევთ და არასწორი მიმართულებით ნუ მიგყავთ მათი ფსიქიკა-მეთქი. შეიძლება მარმარილოს ლოდიდან ხელოვნების ნიმუში შექმნა, მაგრამ, თუ ფიგურას კარგად ვერ გამოკვეთავ და შემდეგ მის გადაკეთებას შეეცდები, ის ზომაში იმის ნახევარი გამოვა, რაც ჩაიფიქრე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ისეთი ჟურნალისტები აღვზარდოთ, რომელთაც მერე გადაკეთება არ დასჭირდებათ, თორემ ამ დეფორმაციის გამოსწორება შეუძლებელი გახდება. თუ ადამიანი ნიჭიერია, მის აღზრდას, პროფესიონალად გამოძერწვას უნდა შევეცადოთ, თორემ პატარა ფიგურას მივიღებთ, რომელიც საბოლოოდ, არც პროფესიას გამოადგება და არც საკუთარ თავს.

ასე რომ, თუკი მედიის შესახებ კანონი ამ თვალსაზრისით ჩვენს პროფესიას სასიკეთოდ წაადგება, მხოლოდ მივესალმები. პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა გარკვეული რეგულაციების დაწესების მტრულად აღქმა სწორად არ მიმაჩნია. ამერიკაშიც, დიდ ბრიტანეთშიც და ევროპის სხვა ქვეყნებშიც ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდნენ სტანდარტების ჩამოყალიბებამდე. რაღაც გამოგვადგება, რაღაცას ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით შექმნით. ფაქტობრივად, ჩვენ მედიის შესახებ კანონის ამოქმედება ყამირ მიწაზე, მეტიც, ზოგან დაბეტონებულ ტერიტორიაზეც კი გვიწევს. არავის ჰქონდეს მოლოდინი, რომ კანონმდებლობა ვითარებას სწრაფად შეცვლის. ეს დიდ ტკივილებთან იქნება დაკავშირებული. 90-იან წლებში, დამოუკიდებელი ქართული ჟურნალისტიკის დაბადების მოწმენი ვიყავით. ახლა, უკვე მეორედ, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჟურნალისტიკისთვის სიცოცხლის დაბრუნების პროცესში ვართ. ეს რთული პროცესი იქნება. პროფესიონალი ჟურნალისტების უპირველესი ვალდებულება პასუხისმგებლობის გააზრებაა, ამ გარდამტეხ მომენტში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გამოცდილების სწორედ ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოების სამსახურში ჩაყენებას. დღეს ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. რაც მეტი პროფესიონალი ჟურნალისტი გავიაზრებთ შეცდომებსაც და საფრთხეებსაც, მით უფრო გაუადვილდებათ ახალგაზრდებს ჟურნალისტიკაში პროფესიული სტანდარტებით მუშაობა და პროფესიონალებად ჩამოყალიბება. მათ პროფესიული ღირსების მნიშვნელობა ღრმად უნდა გაიაზრონ და მერე ჩვენც ვიამაყებთ, რომ ამ ახალი თაობის პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში ჩვენი წვლილი შევიტანეთ. ამ პროცესში უმაღლესი სასწავლებლები, პროფესორ-მასწავლებლებიც უნდა ჩაერთონ. 35-წლიანი პერიოდი ავად თუ კარგად გავიარეთ, წარმატებაც გვქონდა, წარუმატებლობის სიმწარეც გამოვცადეთ და გამოცდილებაც შევიძინეთ. ჩვენ ახლა ახლიდან დაბადება გვიწევს, ამ პროფესიას მეორე სიცოცხლე უნდა შევძინოთ და შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს.

თამარ შველიძე

ამ ეშმაკების მსახურებს მომიტინგე ბავშვები ხელიდან როგორმე უნდა გამოვგლიჯოთ!

გვესაუბრება „ქართული დასის“ დამფუძნებელი ჯონდი ბაღათურია:

— ბატონო ჯონდი, ხელისუფლებამ რიგი საკანონმდებლო აქტები გაამკაცრა. ორი დღის წინ „ფარას“ და „მედიის შესახებ“ კანონები დარეგისტრირდა. როგორ აფასებთ ამ ინიციატივებს?

— ახლა კანონმდებლობის გამკაცრება სავსებით ადეკვატურია. პირიქით, ხელისუფლებას აღნიშნული ინიციატივები რომ არ შემოეტანა, ეს სამშობლოს, სახელმწიფოს ინტერესების ღალატი იქნებოდა. კანონმდებლობის გამკაცრებას მთელმა ქართულმა საზოგადოება მხარი უნდა დაუჭიროს. თუმცა, ეს ყველაფერი წყალში იქნება გადაყრილი, თუ მთავარი, ფუნდამენტური — განათლების რეფორმა არ განხორციელდა, რომლის გარეშეც საქართველო არსებობას ვეღარ განაგრძობს. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკადრო წმენდაა — განათლების სისტემიდან კოლექტიური ბერძენიშვილიზმი ცეცხლითა და მახვილით უნდა ამოიშანთოს. ამ საქმეს მოფერება არ სჭირდება, ბერძენიშვილებს „მგლის ბილეთი“ უნდა მისცე და განათლების სისტემიდან ამოკვეთო. ისინი საგანმანათლებლო სისტემაში კი არა, სკოლასთან, უნივერსიტეტთან 500 მეტრის რადიუსში არ უნდა მიუშვა. ასევე, ყველა ის პედაგოგი უნდა გაყარო, რომელიც აქცებზე დადის და ათას სისულელეს ლაპარაკობს. როგორი კრიზისიც უნდა შეიქმნას, საკადრო წმენდა აუცილებლად უნდა დაიწყოს. ამ გზაზე წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი უნდა გავერთიანდეთ.

საქმე ის არის, რომ მედიასივრცე და განათლების სიტემა — ეს ორი ინსტიტუტი, ადამიანის ქვეცნობიერზე ზემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ლიბერალებმა ამ ინსტიტუტების ოკუპაცია თავიდანვე, 90-იანი წლებიდან მოახდინეს — განათლების ყველა მინისტრი და მედიამენეჯერი მათი მითითებებით ინიშნებოდა. შედეგიც სახეზეა — ტვინგამორეცხილი, სისხლმოშხამული ჟურნალისტების მთელი თაობა გამოზარდეს. დღეს ქუჩაში ამ კატეგორიის ადამიანების მცირე რაოდენობა დგას, მაგრამ დროზე თუ არ ვიმოქმედეთ, ხვალ და ზეგ მათი რიცხვი სახიფათო ნიშნულს მიაღწევს. სკოლა, წესით, ზნეობრივ ადამიანებს უნდა ზრდიდეს. განათლების სისტემაში ერის შვილები უნდა მუშაობდნენ. მან უნდა აღზარდოს ადამიანი — ცნობიერებით ღმერთის შვილი და არა — მაიმუნის ნათესავი. დიახ, მისი ცნობიერება ღმერთისკენ, სიკეთისკენ უნდა იყოს მიმართული.

არსებობს უფლის მცნებები: არა კაც კლა, არა იმრუშო, არა იპარო... ლიბერალებმა ეს გადააკეთეს და ახალგაზრდებს ცნობიერება შეუცვალეს. მათი ცნობიერებით დასაშვებია, პოლიციელს მოლოტოვის კოქტეილი ესროლო და ცოცხლად დაწვა. აი, ამას ვეძახი მაიმუნის ნათესაობას. ისინი თავად თვლიან საკუთარ თავს მაიმუნის ნათესავებად და არა ღმერთის შვილებად. ამ ახალგაზრდებს ვერ გავიმეტებ, მაიმუნის ნათესავი ვუწოდო. ამაში მათ ლიდერებს ვგულისხმობ, რომლებიც ახალგაზრდებს ათას სისაძაგლეს აკეთებინებენ, მუსიკის რიტმზე პრიმიტიულ ფრაზებს ასწავლიან, რასაც დიდი ნიჭი არ სჭირდება და ესენიც ავსტრალიელი აბორიგენებივით დარბიან და გაჰყვირიან, ცეცხლი ოლიგარქიას, არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობაო. მათ რომ უთხრა, „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლეო, შეიძლება ტყვიაც გესროლონ. იმიტომ, რომ ამით ამოცანას ურთულებ და მათი კომფორტის ზონიდან გამოგყავს.

ყველა საკითხი მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „მედიის შესახებ“ კანონის მიღების აუცილებლობა. ჟურნალისტიკაში მახინჯი, სამარხვინო სტერეოტიპების დამკვიდრებას ცდილობენ, თითქოს ჟურნალისტს უფლება აქვს, პოლიციელს ხელი გაარტყას. ეს დებილიზმი უნდა აღმოვფხვრათ. კანონის შიში ყველას უნდა ჰქონდეს. თუ დააკვირდით, მზია ამაღლობელმა შიმშილობა რომ შეწყვიტა, „მისიანებს“ გული დასწყდათ, რადგან ერჩივნათ, ეს პროცესი ფატალურად დასრულებულიყო და მერე უფრო ხმამაღლა ყვირილის საშუალება მისცემოდათ. საქართველოში, დაახლოებით, რვა ათასი პატიმარია. წარმოიდგინეთ, შიმშილობის გამო ერთი რომ გაუშვა, დანარჩენიც ხომ იგივეს მოითხოვს. სად, რომელ ქვეყანაში გინახავთ, შიმშილობის გამო პატიმარი ციხიდან გაეშვათ?! ასე რომ, ყველა კანონმდებლობის გამკაცრებას თუ შემოღებას, მხარს ვუჭერ. მეტიც, დანაშაულის ტოლფასია, ეს აქამდე რომ არ გაკეთდა. მიმდინარე პროცესებმა გვაჩვენა, რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლება, თორემ სახელმწიფოს დავკარგავთ. პაპუაშვილმა როგორც თქვა, დაკარგულიც გვაქვს და ახლა მის დაბრუნებას ვცდილობთ.

— თქვენ ახლა საკადრო წმენდა ახსენეთ. განათლების რეფორმის ჩატარებისას, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რას ვასწავლით მომავალ თაობას სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში?

— დიახ, თუ გადავხედავთ, რა პროგრამებით ხდება სწავლება, ეს კატასტროფაა. ჩვენ შესანიშნავი პროზა გვაქვს და ქართული მხატვრული ლიტერატურა ვრცლად უნდა ისწავლებოდეს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა სტროფი სიბრძნეა, ადამიანს ცხოვრებას ასწავლის. რომელი ერთი ჩამოვთვალო, იგივე, „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელიც ყველა ეპოქაში აქტუალურია. თუ გვინდა, რომ მომავალი თაობა მოქალაქეებად, მამულიშვილებად აღვზარდოთ, მათ თავიანთი ქვეყნის ისტორია უნდა ვასწავლოთ. ქართველებს დიდი შრომა, ოფლი და სისხლი აქვთ დაღვრილი იმაში, რომ ქართულად გველაპარაკა, ასევე, დასავლეთიდან სახელმწიფოს პატივისცემა მოგვეთხოვა. ჩვენი ეროვნული ეთნოფსიქოლოგია ქართულია. ეროვნულობა ბევრ სახელმწიფოში აღგავეს პირისაგან მიწისა. სინგაპურში აბორიგენი მოსახლეობა მხოლოდ 17%-ია. აქაც იგივეს გაკეთება უნდოდათ.

სასკოლო პროგრამებში აქცენტი ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის სწავლებაზე უნდა გაკეთდეს. ერთ უცნაურ მაგალითს მოვიყვან: ერთ ქართველ, იმერეთში დაბადებულ კაცს ვიცნობ, რომელის წლების წინ რუსეთში წავიდა და საქართველოს მოქლაქეობა დაკარგა. მოქალაქეობის დაბრუნებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდა მოუწყვეს და ისეთი შეკითხვები დაუსვეს, ჩაბარება ვერ შეძლო. ეს კაცი 75 წელს არის გადაცილებული. მოხუცს, სისხლით და ხორცით ქართველს, ასე მკაცრად რომ სთხოვ ქართული ენის ცოდნას, ახალგაზრდას საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნას რატომ არ ავალდებულებ?! ამ ყველაფერს ღალატის სუნი ასდის, რაც დროულად უნდა გამოსწორდეს. ჩვენ რა გვინდა? — მხოლოდ 75 წლის ბერიკაცმა იცოდეს საქართველოს ისტორია, საფლავში წაიღოს და ახალგაზრდა თაობას არ ვასწავლოთ?!

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ფუნდამენტურ მეცნიერებებს: ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას, რაზეც ახალი ტექნოლოგიები დგას. ამ საგნებში მოწინავენი ვიყავით, ახლა მხოლოდ ზედაპირულად ისწავლება, მენდელეევის ცხრილას სკოლაში, მგონი, აღარც ასწავლიან. ეს ახალგაზრდები ქუჩაში რომ დარბიან, მათ „ტანო ტატანო“-ს სწავლა რომ მოსთხოვო, შეიძლება შეგიძულონ, რადგან ამით კომფორტის ზონიდან გამოგყავს. მათი კომფორტის ზონა რა არის? — არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა, ცეცხლი ოლიგარქიას და ა. შ. — ორსიტყვიანი პრიმიტიული სიტყვების დამახსოვრება. მათ ეს მოსწონთ, რადგან ადვილად იმახსოვრებენ, ტვინი გაზარმაცებული აქვთ, რადგან ასე ასწავლეს. მაგალითად მე, სულელური უნარ-ჩვევების სწავლება — ავტობუსში ადგილი ვის უნდა დაუთმო, მნიშვნელოვნად არ მიმაჩნია.

ამ თაობას მოუწევს, მთელ მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტებში გაზრდილ ახალგაზრდებს კონკურენცია გაუწიოს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ სხვებს უნდა ვაჯობოთ. კონკურენტუნარიანი ვინც იქნება, სახელმწიფოს, სამშობლოსაც ის შეინარჩუნებს და არა დებილები და კლუბებში ტვინგამოლაყებულები. კლუბში რა ხდება? — ჩაყლაპავენ „ექსტაზს“ და ბაგაბუგის ფონზე გამოთაყვანებულები ძიგძიგებენ, იქ ისეთი ხმაურია, ორი ადამიანი ერთმანეთში ვერც დაილაპარაკებს. აი, ესაა მათი კომფორტის ზონა, საიდანაც ნებით ვერ გამოიყვან. არსებობს ტერმინი — იძულებითი მკურნალობა. ადრე ნარკომანებს და ლოთებს იძულებითი მკურნალობის კურსებს უტარებდნენ. ნარკოდამოკიდებულებისთვის აღნიშნული პროგრამები ახლაც არსებობს. პროგრამის მიზანი სწორად უნდა იყოს დასახული. ამ პროგრამის მიზანი არ არის, რომ ადამიანმა ნარკოდამოკიდებულებისგან თავი დაიხსნას. ამ პროგრამის ნეგატიურ მხარეებს დიდი ხნის განმავლობაში ვებრძოდი. წლების წინ ამ თემაზე შეხვედრა გაიმართა. მომხსენებელმა საუბარი რომ დაამთავრა, ვკითხე, რამდენი კაცი განიკურნა ამ პროგრამის მეშვეობით-მეთქი? — პასუხი ვერ მივიღე. კამერების წინ შეკითხვა განმეორებით დავსვი, პასუხი კვლავ ვერ მივიღე. შესვენებისას კი მითხრეს, რომ პროგრამით არცერთი ნარკოდამოკიდებული არ განკურნებულა. მეტიც, პროგრამის მიზანი მათი განკურნება არ არისო. შედარებისთვის გეტყვით, საქონელს ბაგაზე რომ აბამენ, რათა რამე დანაშაული არ ჩაიდინოს, ასეა ამ პროგრამის შემთხვევაშიც. ეს არ არის სწორი, ჰუმანური მიდგომა. პროგრამა უნდა არსებობდეს, მაგრამ ამოცანა შეიცვალოს და ის ადამიანის ნარკოდამოკიდებულებიდან გათავისუფლებაზე იყოს ორიენტირებული. ბაგაზე მიბმა დამამცირებელია — ამით, რაღაც რომ არ დააშავოს, უბრალოდ, პრობლემას თავიდან იცილებ. ასე არ შეიძლება. ადამიანს როცა პრობლემა აქვს, სიყვარული, დახმარება სჭირდება და არა ბაგაზე მიბმა. ასე ადამიანის უფლებები ფუნდამენტურად ირღვევა. აი, ეს არის მაიმუნის ნათესაობა, როცა შენთვის — სხვისი ჭირი,

ღობეს ჩხირია. ათი დაავადებულიდან ორიც რომ განიკურნოს, კარგი შედეგი იქნება. შეიძლება რვაც განიკურნოს, ის ორი კი ბაგაზე მიბმული დარჩება. სახელმწიფო მათ უნდა დაეხმაროს, რათა პროგრამა ორიენტირებული იყოს შემდეგზე — ნარკოტიკზე დამოკიდებულ ადამიანს შევხედოთ არა როგორც ბაგაზე მიბმულს, არამედ იგი ამ დამოკიდებულებისგან გავათავისუფლოთ.

— ბატონო ჯონდი, ის საზოგადოება როგორ განვკურნოთ, რომელიც რუსთაველის გამზირზე სატანურ რიტუალებს ატარებს. რა მოხდა მათ ტვინებში, როცა აქამდე ჩიოდნენ, ევროპას გვართმევენო, ახლა კი ამერიკის დროშას ჯოხებს ურტყამენ...

— ვინც ამ ახალგაზრდობას მსგავსი ქმედებებისკენ უბიძგებს, სწორედ ის არის მაიმუნის ნათესავი. დიახ, ეს სატანიზმია. მთავარი ამოცანაა, ამ ეშმაკის მსახურებს ეს ბავშვები ხელიდან გამოვგლიჯოთ. იმ ბავშვებიდან, რომ დარბიან და ფიტულებს წვავენ, ყველას ვერ გადავარჩენთ, მაგრამ დიდი შანსია, მათი უმრავლესობა დავიბრუნოთ. ბევრი ახალგაზრდა ამ პროტესტში ჩართულია იმიტომ, რომ სამართლიანი პროტესტის განცდა დაუგროვდა. მათ, უბრალოდ, არავინ ასწავლა, როგორ დახარჯოს დაგროვილი ენერგია. ამიტომ ისინი შურისძიების წყურვილით აღსავსე არიან. ამ საკითხს ასე უნდა შეეხედოთ: შვილი რომ წაგართვას ვინმემ, მის დაბრუნებას ხომ შეეცდები. ესენი ყველანი ჩვენი შვილები არიან. ის გოგო რომ დარბის და ხმაჩახლეჩილი გაჰყვირის, — არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობაო, ისიც ჩვენი შვილია და უნდა დავიბრუნოთ. აქაც ყველას დაბრუნებას ვერ შევძლებთ, მაგრამ ათიდან ორიც რომ დავიბრუნოთ, ესეც საქმეა. უფალი არ გვაპატიებს, თუ მათ დაბრუნებას არ ვეცდებით. დიდი შანსია, რომ ბევრი ახალგაზრდის დაბრუნება შევძლოთ. მამოძრავებელი ძალა, ჩვენი მოტივაცია სამშობლოს სიყვარული უნდა იყოს. რა არის სამშობლო — ტყე და ველი? კი ბატონო. მინდორ-ველიც სამშობლოა და მთა და ბარიც, მაგრამ, პირველ რიგში, ადამიანია შენი სამშობლო. ანუ ეს ბავშვები, რომლებიც წაგვართვეს, ჩვენი სამშობლოა. როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვეს, ისევე მოხდა ამ ახალგაზრდების შემთხვევაშიც. მაიმუნის ნათესავებმა ამ ბავშვების ოკუპირება მოახდინეს. ღვთის შვილებმა კი, ისინი სამშობლოს შემადგენლობაში უნდა დავაბრუნოთ. ასევე, **ჯერ აფხაზები და ოსები უნდა დავიბრუნოთ და მერე მინდორ-ველსაც დავიბრუნებთ. ამ ბავშვებს, რომლებიც პრიმიტიულ ფრაზებს, „ცეცხლი ოლიგარქიას“ და სხვას გაჰყვირიან, ცოტა უფრო რთული რამ უნდა ვასწავლოთ, ოღონდ, პროგრამა ნელ-ნელა უნდა გავურთულოთ. მათ უცებ რომ უთხრა, „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლეო, ასე ვერ დაიბრუნებ. ჯერ „ტანო ტატანოთი“ დავიწყოთ. ეს ლექსი ძალიან დახვეწილი, რაფინირებული, ფაქიზია. ამ სიფაქიზეში ჩანს სიყვარული — ქალი მოსწონს, მაგრამ ეს არ არის უმიზნო ვნება, არამედ სიფაქიზე — ინტელექტში, გემოვნებაში, დახვეწილობაში გადასული გრძნობა. „ტანო ტატანოს“ მცოდნე ახალგაზრდა „ცეცხლი ოლიგარქიას“-ო, ვეღარ იყვირებს და ვერც სატანისტურ რიტუალებს მოაწყობს. და ვეღარც ეს მგლები და ტურები, მაიმუნის ნათესავებს ვისაც ვეძახი, ვეღარ შემოიპარებიან ქართულ სამწყსოში...**

თამარ შველიძე

ფიზიკა საინტერესო და ძალზე საჭირო მეცნიერებაა

ჩვენი სტუმარია „საერთო გაზეთის“ ერთგული მკითხველი და მეგობარი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ვიცე-პოლკოვნიკი, ამჟამად დეკნილი, ფიზიკოსი ვლადიმერ (ვოვა) ჟანტურიძე.

— ბატონო ვოვა, თქვენ ბევრი საინტერესო ამბის შემსწრე, მონაწილე თვითმხილველი ხართ. ყველაფერთან ერთად, ტყვედაც კი ხართ ნამყოფი გუდაუთაში... თუმცა, ამჯერად მხოლოდ ერთი მიმართულებით ვიბაასოთ — თქვენ ისეთი საგულისხმო ამბავი მიამბეთ კერძო საუბრების დროს, რომ ვფიქრობ, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.

2021 წლის იანვარში შავი ზღვის აკვატორიაში ამერიკული საბრძოლო ხომალდი, საესკადრო ნაღმოსანი „დონალდ კუკი“ — „არლი ბერკის“ ტიპის სარაკეტო გამანადგურებელი რომ შემოვიდა, ამის შესახებ ინფორმაცია აშშ-ის საზღვაო შეიარაღებული ძალების ევროპისა და ამერიკის სარდლობამ გაავრცელა, თბილისში კი აშშ-ის საელჩომ დაადასტურა. „საქინფორმის“ გარდა, არავინ ახსენა, რომ მას რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ძალები და საშუალებები სდევდა „თანმხლებად“.

როგორც აშშ-ის საზღვაო შეიარაღებული ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაში იყო ნათქვამი, რომ ეს ამ ხომალდის პირველი ვიზიტი იყო იმ წელს შავ ზღვაში და მას პარტნიორებთან უნდა ემუშავა, რათა რეგიონში საზღვაო უსაფრთხოება ყოფილიყო დაცული. მახსოვს, საქართველოს მოსახლეობის ნაწილს გაუხარდა, ნაწილი, რუსეთის ფაქტორის გამო შეშფოთდა. მანამდე რა მოხდა და ჩვენთვის რა არის იმ ამბიდან მნიშვნელოვანი, ის მინდა, რომ ფართო მასებისთვის გახდეს ცნობილი...

— როდესაც წლების წინათ, 2014 წლის გაზაფხულზე, ყირიმის ნახევარკუნძულთან დაკავშირებული მოვლენების გამო შემოვიდა შავ ზღვაში იგივე „დონალდ კუკი“, მის თავზე, ძალზე დაბალ სიმაღლეზე, როგორც მე ვიცი, 11 პროვოკაციული პიკირება გააკეთა Cy-24M ტიპის ორმა რუსულმა საფრონტო ბომბდამშენმა. მაშინ გახმიანდა, რომ რუსულ ბომბდამშენებზე დაყენებულმა „ხიბინის“ ტიპის რადიოელექტრონულმა აპარატურამ საერთოდ გათიშა ამერიკული ხომალდის, „იჯისის“ ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემა, ხოლო შეშინებულმა ეკიპაჟმა მალევე დატოვა შავი ზღვა. ამერიკაში ჩასვლის შემდეგ კი 27-მა მეზღვაურმა პატაკი დაწერა ფლოტიდან წასვლაზე.

ამ ამბის გავრცელებას რუსული სამხედრო პროპაგანდა დაერქვა, რომელიც თითქოს აშშ-ის სამხედრო ფლოტის უდიდესი შესაძლებლობების დაკნინებისკენ იყო მიმართული. ამბობდნენ, რომ რუსულ ბომბდამშენებზე „ხიბინი“ არ ეყენა და რომ ყოფილიყო კიდეც, ვერაფერს დააკლებდა „იჯისის“ ძლიერ სისტემას. ფაქტია, რომ რუსულმა ბომბდამშენებმა მართლაც შეასრულეს ის მოქმედება, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, 96-ბირთვულქობინიანი „ტომაჰავკის“ ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი ამერიკული ხომალდი კი შავი ზღვიდან გავიდა.

მე არც ხომალდზე ვყოფილვარ იმ დროს და არც ბომბდამშენში ვიმყოფებოდი, მაგრამ ვიცი, რომ ის აპარატურა, რაც თვითმფრინავზე მონტაჟდება, უნდა იყოს კომპაქტური და მძლავრი. საფრენ აპარატში დამონტაჟებამდე დიდი გზა არის გასავლელი, მანამდე ჯერ ლაბორატორიულად მუშავდება. ზემაღალი სიხშირეა, რომელიც თიშავს მთელ ელექტროაპარატურას და სასურველ შედეგს რომ მიაღწიო, უამრავი ცდა ტარდება წლების განმავლობაში. ჩვენ გაუთქმელობის ხელწერილი გვაქვს დაწერილი, ყველაფრის თქმა არ შემიძლია...

— ფოტო, რომელიც „დონალდ კუკიდან“ არის გადაღებული, თავად ამერიკელებმა გაავრცელეს, როგორც რუსეთის „ცუდი საქციელის“ დამადასტურებელი ფაქტი და როგორ დავიჯერო, რომ პირველივე პიკირებაზე არ ჩამოაგდეს? როგორც ვიცი, გარკვეული მანძილით მიახლოების შემთხვევაში, ყველა სამხედრო ხომალდს აქვს უცხო ქვეყნის საფრენი აპარატისთვის ცეცხლის გახსნის უფლება, მით უფრო, თუ

პიკირება დაიწყო... ბატონო ვოვა, ის ხელწერილი საბჭოთა კავშირის დროს დაიწერა, ახლა საბჭოთა კავშირი აღარ არის...

— აგუძერაში, სადაც მე ვმუშაობდი, ექვსართულიან შენობაში განლაგებული იყო სამხედრო საკითხებზე მომუშავე ლაბორატორია. შენობის ერთი კუთხე მთელ სიმაღლეზე იყო გაერთიანებული, სადაც განლაგებული იყო ვერტიკალურად მდგარი ამაჩქარებელი. ამაჩქარებელი წარმოადგენდა 4 მ დიამეტრისა და 20 მ სიმაღლის უჟანგავი ფოლადის ცილინდრულ დანადგარს შესაბამისი ვაკუუმური სისტემის მიერთებებით. ვაკუუმური სისტემა წარმოადგენდა მძლავრ ტუმბოებს. ამ უზარმაზარ „მახინას“ ყველა მხრიდან ჰქონდა ხუფები, ზოგი ხუფიდან ხდებოდა ჰაერის გამოტუმბვა (დაწვრილებითი აღწერილობა მკითხველისთვის საინტერესო არ არის). „მახინაზე“ შესაბამის ელექტროდებზე მაღალი ძაბვის მიწოდებით ხდებოდა შიგნით ჩამონტაჟებული ელექტრული ქვემეხის 2000 გრადუსამდე გახურებული ემიტერიდან ელექტრონების ამოფრქვევა და სამიზნისკენ მიმართვა. ცდის მიზანი იყო ელექტრონული სხივის (კონის) საშუალებით 10 მმ-ის მქონე მეტალის (ჯავშნის) გახვრეტა-დაზიანება. ამ ამაჩქარებლის შედარებით კომპაქტურ სამხედრო ანალოგს შეეძლო მოწინააღმდეგის კოსმოსური თანამგზავრის დაზიანება, თვითმფრინავისა — მით უმეტეს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ „СУ-24М“-ზე დაყენებულ აპარატს ამერიკულ ხომალდზე მთელი ელექტროსისტემა დროებით გამოეყვანა მწყობრიდან.

ამ დანადგარებზე ჩატარებული რამდენიმეწლიანი სამუშაოების საფუძველზე დამუშავდა ის იმპულსური დანადგარი, რომელიც შემხვედრი სხივების გადაკვეთის დროს წარმოქმნიდა ნახევრადციკლოტრონულ უმძლავრეს გამოსხივებას და ყველა ელექტრონელსაწყოს პარალიზებას იწვევდა.

— ის გამოსხივება ადამიანებზე უარყოფითად არ მოქმედებდა?

— ალბათ, მოქმედებდა, მაგრამ ამას არავინ იკვლევდა, არავის აინტერესებდა...

გასული წლის ზაფხულში განგაში ატყდა, რომ რუსული სამხედრო ხომალდები „ადმირალი გორშკოვი“ და „ყაზანი“ ბრიტანეთის სანაპიროს შორიახლოს გამოჩნდნენ, შემდეგ მათ გადაკვეთეს ატლანტის ოკეანე და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს მიუახლოვდნენ. ჯეიკ

16 გვ.

ჩინეთი ფსკერზე ეშვება...

როდესაც ჟურნალისტმა შეკითხვა დაუსვა ნატო-ს გენერალურ მდივანს, იენს სტოლტენბერგს, ისეთი პასუხები გასცა, რომ მის ნაცვლად ლამის მე შემრცხვა:

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩინეთი ნატო-ს წევრი სახელმწიფოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. თუ შეიძლება, ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვაზე მიპასუხეთ: რამდენ სახელმწიფოში შეიჭრა ჩინეთი ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში?

— ჩვენ ვხედავთ, რომ ჩინეთი ფსკერზე ეშვება...

— ამაზე, მოგვიანებით. მიპასუხეთ, რამდენ ქვეყანაში შეიჭრა ჩინეთი ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში?

— ჩინეთს ჰქონდა სამხედრო კონფლიქტი ვიეტნამთან...

— ამ შეკითხვაზე პასუხია: არცერთი, ნული.

— ვიეტნამზე რას იტყვით.

— ჩინეთ-ვიეტნამის კონფლიქტი გაცილებით ადრე იყო. შეკითხვა ბოლო ორმოც წელიწადს ეხებოდა. ბევრია ქვეყანა მსოფლიო მასშტაბით, სადაც ჩინეთმა სამხედრო ბაზა განათავსა?

— რამდენიმეა.

— არასწორია. ჩინეთს მხოლოდ ერთ ქვეყანაში აქვს სამხედრო ბაზა, ეს არის ჯიბუტი. შედარებისთვის, ამ დროის განმავლობაში აშშ-მა ცამეტ ქვეყანაში განახორციელა სამხედრო ინტერვენცია და 750 სამხედრო ბაზა განათავსა მსოფლიოს ოთხმოც ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ამ ბაზებიდან რამდენიმე უშუალოდ ჩინეთის საზღვრებთან მდებარეობს, თუმცა, თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ საფრთხეს ჩინეთი წარმოადგენს.

* * *

ვრცელი ინტერვიუს ამ პატარა მონაკვეთში რაც ითქვა, მხოლოდ ერთ შეკითხვას ბადებს: რითი აშინებს ჩინეთი აშშ-ს, რა საფრთხეს ელის აშშ ჩინეთისგან?

ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი უძველესი ქვეყანა რომ არის, ყველამ იცის, მაგრამ რაც ინტერვიუს წინამდებარე ამონარიდიდან გაიგო, ბევრს, ალბათ, ვერც წარმოედგინა. რა გასაკვირია, სტოლტენბერგს არ სცოდნია და რიგითმა ქართველმა რომ არ იცოდეს, ჩინეთი თავისი არსებობის განმავლობაში არასდროს ყოფილა აგრესორი ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მოწინავე იყო რიცხოვნობით და შეეძლო მსოფლიო იმპერიალისტური პოლიტიკის ერთ-ერთი მწარმოებელთაგანი ყოფილიყო, კოლონიებიც კი არ ჰქონია. პირიქით, კი, ბატონო!

ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი, ვთქვათ, შუა საუკუნეებში ჩინეთზე ბევრად მცირერიცხოვანი მონღოლების მიერ ჩინეთის დაპყრობას, — ეს ყველანაირი ლოგიკას სცდება.

სხვა რა ვიფიქრო — უძველესი ერია, უხსოვარი დროის უამრავი არტეფაქტი, იდუმალებით მოცული ადგილი და საკრალური ცოდნა აქვთ ცალკეულ სასულიერო პირებს. ხელისუფლების მაღლაჩინოსნებსაც იგივე დამოკიდებულება აქვთ, კაცობრიობისთვის ოდნავ მნიშვნელოვან რამესაც საგულდაგულოდ მალავენ თეთრი პირამიდის ჩათვლით. ეს პირამიდა ერთადერთია, რომლის წვერზეც უძველესი კვარცი იყო შემორჩენილი, თითქოს რაღაც დროს ელიან და იმ დრომდე საიდუმლოების გაუთქმელობის აღთქმა აქვთ დადებული.

ჩაიარა შუა საუკუნეებმა — XIX საუკუნეში ე. წ. ოპიუმის ომების შედეგად ოცმილიონიანმა ინგლისმა დაიპყრო ოთხასმილიონიანი ჩინეთის ცინების იმპერია, ამაზე რაღა უნდა თქვა? ორი ომი იყო, 1840 წელს და 1856 წელს წელს, შუაში 14-წლიანი ინტერვალით. დიდმა ბრიტანეთმა ოპიუმის გამო ომი გამოუცხადა ჩინეთს — მხარდამჭერად აშშ ჰყავდა. მოკლედ რომ ვთქვათ, 4 000-მა ბრიტანელმა ჯარისკაცმა დაამარცხა 90 000-იანი ჩინეთის არმია.

„ოპიუმის მეორე ომის“ დროს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეამხანაგდნენ ჩინეთის წინააღმდეგ და იმის ნაცვლად, რომ ჩინეთს ჰქონოდა კოლონიები, ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიები გაჩნდა ჩინეთში, სადაც მონურად შრომობდნენ ჩინელები. საინტერესოა, რომ ამ დროს მიიღო რუსეთმა უსურიის ოლქი, რომელიც მანჯურიის დინასტიის მემკვიდრეობითი ნაკრძალი იყო, რომელსაც თავად განკარგავდა და სულაც ზღუდავდა ამ ტერიტორიაზე ჩინურ დასახლებებს გასული ორი საუკუნის განმავლობაში.

იმ დროისთვის, მოძველებული სამხედრო ტექნიკა და მისთანები, ასეთი რიცხობრივი შეფარდების დროს, თანაც, როდესაც საკუთარ ტერიტორიაზე ხარ და ყველა კუთხე-კუნჭული იცი, მტერმა კი ფაქტობრივად, არაფერი იცის, გზას ვერ იკვლევს, სახსენებელი არ არის. უბრალოდ, ჩინელები არ ომობდნენ ჩინეთისთვის, — რა ჰქვია ასეთ მოცემულობას, არ ვიცი.

XX საუკუნეში ჩინეთი სულაც მოსახლეობით ათჯერ მცირერიცხოვანმა იაპონიამ დაიპყრო — ჩინელი ხალხის უმრავლესობა აბსოლუტურად პასიური იყო აგრესორი იაპონიის მიმართ. ორჯერ მეტი ჯარისკაცი ჰყავდა ჩინეთს, მსხვერპლი იაპონიას მეტი ჰქონდა, მაგრამ ჩინეთი დანებდა. ის კი დანებდა, მაგრამ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და მეფის რუსეთი წამოიშალნენ, არ ეპიტნავათ იაპონიის მიღწევები და ჩინეთის მიერ კორეის დამოუკიდებლობის ცნობა, რაც იაპონიამ მოსთხოვა. რა თქმა უნდა, ჩინეთის მხრიდან საქმეში მრჩეველის სახით ჩართული იყო ამერიკელი დიპლომატი ფოსტერი, რომელმაც აშშ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, იაპონიის მხარე დაიკავა.

მოკლედ რომ ვთქვა, პირადად მე, ჩინელებისა ვერაფერი გავიგე!

ქალაქების გარშემო შემოვლებული გალავნები გამიგია, ბოლო-ბოლო, სიღნაღის ციხე-გალავანი მაქვს საქართველოში, ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეორე, ჩინეთის დიდი კედლის შემდეგ, მაგრამ სახელმწიფოზე შემოვლებული გალავანი, ჩინეთის დიდი კედლის გარდა, არ გამიგია. რა დანიშნულებისთვის უნდოდათ იმხელა გალავანი, თუ მუდამ მტრისთვის დასანებებლად იყვნენ განწყობილები...

ჩინეთისხელა ადამიანური რესურსი რომ ჰქონოდა ნებისმიერ იმდროინდელ მეომარ ქვეყანას, აბსოლუტურად სხვა მოცემულობა გვექნებოდა ახლა დედამიწაზე... ტიბეტის ანექსიაზე, რომელსაც სრული პოლიტიკური და კულტურული ავტონომია აქვს, რა ვთქვა, არ ვიცი, გარდა იმისა, რომ გამონაკლისი შემთხვევაა და ისიც, რაღაც განსაკუთრებულის გამო, რასაც ჩვენ ვერ ჩავწვდებით.

ჩინელებს იმპერიები ჰქონდათ, მაგრამ მოსაზღვრე ტერიტორიებს არ გაცდენილან და არც სხვა ხალხების მჩაგვრელები ყოფილან, მხოლოდ საკუთარი შრომისა და ნაჭიერების მიმდევრები იყვნენ, რაც დღემდე უცვლელად მოსდევთ.

დღეს ჩინეთი №2 ქვეყანაა მსოფლიოში ეკონომიკით და თუ ზრდის ტემპს გავითვალისწინებთ, მალე №1 გახდება.

რაც შეეხება ნახტომს ტექნოლოგიურ სფეროში, ამას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ანგლოსაქსურმა ინტერესებმა შეუწყო ხელი. ტექნოლოგიური ინდუსტრიის ჩინეთში გადატანამ უზარმაზარი ფინანსური მოგების მიღების, ხოლო მისი რეინვესტირებით, მოკლე პერიოდში ტექნოლოგიების არნახული ზრდის საშუალება მისცა ანგლოსაქსებსაც, ანუ ორივე მხარის განვითარების თვალსაზრისით, სინერგიას ჰქონდა ადგილი.

მოკლედ რომ ვთქვათ, სტოლტენბერგი რა კუთხით განიხილავს საფრთხედ ჩინეთს, არ ვიცი. აკი ვთქვი, ჩინეთი არც დღევანდელი რიცხოვნობითა და სამხედრო ძალით ჰგავს დამპყრობელ და მეომარ ქვეყანას, ნატო-ს გენმდივანს კი ეკონონომიკური საფრთხეები რაში ეხებოდა...

კი, სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით ჩინეთი გიგანტია და პატიოსანი, ჯანსაღი კონკურენციით ეცილება პირველობას ანგლოსაქსებს, რაც დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის დომინანტობას და მათი ოლიგარქიული ელიტის ჯერ კიდევ გარკვეული დოზით შემორჩენილ „მსოფლიო ჟანდარმობას“ საფრთხეს უქმნის, თორემ ჩვენ — საქართველოს, პირიქით, გვიხარია, ჩინეთი თუ დაგვაფასებს და საქმეში ჩაგვრთავს, სრულებით არ გვაინტერესებს, ვინ იქნება პირველი ან მეათე.

საქმე ის არის, რომ ჩინეთი კი არის პატიოსანი, მაგრამ ანგლოსაქსები არიან წესების გარეშე მოთამაშეები.

როგორცკი საქართველო-ჩინეთის დაახლოება დაიწყო, მყისიერად ატყდნენ გარედან „მეგობრები“ და შიგნით უსამშობლოები, რომ ჩინეთი ტოტალიტარული და რუსეთის მეგობარი ქვეყანაა; რომ ჩინეთი ხალხთა საპყრობილეა და მსოფლიო დემოკრატიის საფრთხეა; რომ საქართველომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაამყაროს ახლო მეგობრული და პარტნიორული ერთიერთობა ჩინეთთან, რადგან ეს იქნება ევროპული გზიდან აცდენა და დემოკრატიის უკუსვლისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი; რომ საქართველომ ანაკლიის პორტი არ უნდა ააშენებინოს ჩინეთს, რადგან არ ააშენებინა ამერიკელებს; რომ ჩინურმა ტვირთებმა საქართველოზე არ უნდა გაიაროს და ა. შ. ის კი არა, ტაივანის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციაც კი გამოტყვრა თინა ხიდაშელის სახით. ოღონდ, საქართველოსა და ჩინეთის ნებისმიერი კავშირი — არა! არადა, ვითომ საქართველოს ე.წ. მოგობრებმა სათითაოდ დაიწყეს კომუნიკაცია სი ძინპინთან.

ელემენტარულია, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის დაბეჩავება რთულდება, მით უმეტეს, თუ მისით ეკონომიკის მონსტრია დაინტერესებული იმ ქვეყნით...

პრეზიდენტად ტრამპის მოსვლამ ისე არია საერთო სურათი, რომ საქართველოს მტერ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩინეთის კი არა, საკუთარი თავის გარდა, აღარაფერი ედარდებათ...

საკმარისზე მეტად ვუსმინეთ გადამთიელებს და კინაღამ სამუდამოდ ჩამოვიქციეთ თავზე სახელმწიფოებრიობა. სხვისი სწავლებით ვირჩევდით მეგობრებს და აღმოჩნდა, რომ ყველანი საქართველოს ისეთი მტრები ყოფილან, რომლებიც მხოლოდ საქართველოს შინაურ მტრებს მიიჩნევდნენ მეგობრებად, ისიც პირობითად, რაღაცის სანაცვლოდ.

ვფიქრობ, ისეთი კურსი აიღო „ქართულმა ოცნებამ“, რომ აღარავის ჩააყოფინებს ცხვირს ქართულ საქმეში და მოიქცევა ისე, როგორც უმჯობესი იქნება საქართველოსთვის.

იენს სტოლტენბერგისთვის — მშვიდობისმოყვარე, გამრჯე ჩინეთი ფსკერზე ეშვება, მაგრამ თან საფრთხესაც წარმოადგენს, მაგრამ საქართველოსთვის არც სადმე ეშვება და არც საფრთხეა, ამიტომ, ფეხებში ნუ გვედებიან, გაგვატარონ!

მაია ჯელიძე

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ, გრენლანდია გეოპოლიტიკური ბრძოლის ობიექტად იქცა. ისე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2019 წელს ტრამპმა დანიას გრენლანდიის შეძენის საფასურად 600 მლნ დოლარი შესთავაზა. სწორედ ამდენი უჯდება დანიის სამეფოს თავისი ავტონომიის შენახვა.

უკვე რამდენიმე წელია, კუნძულის ადგილობრივი, მკვიდრი აქტივისტი ქალები დანიის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან, რომელიც მე-20 საუკუნეში მათ მიმართ სისტემურ რეპროდუქტიულ ძალადობას ახორციელებდა.

1721 წლიდან გრენლანდია დანიის კოლონია იყო, 1953 წელს კუნძულის სტატუსი შეიცვალა და დანიის სამეფოს ნაწილი გახდა, 1979 წელს კი — დანიის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ტერიტორია. ოფიციალურ ენად დანიური გამოცხადდა. ამასთან, კუნძულის მოსახლეობის 90% დღეისათვის ინუიტების მკვიდრი ეთნოსის წარმომადგენლები არიან.

რას ელის ევროპისგან ყინულეთში მიტოვებული 56 421 ადამიანი

იძულებითი სტერილიზაცია და რეკორდული აბორტები: როგორ ცხოვრობენ გრენლანდიელი ქალები?

შობადობაზე კონტროლი და ოჯახური ძალადობა

მეოცე საუკუნის შუაწლებში გრენლანდიაში შობადობამ იმატა. პიკი 1966 წელს დაფიქსირდა, როცა კუნძულზე 1781 ბავშვი გაჩნდა. დანიის მთავრობამ მიიჩნია, რომ ეს საბავშვო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის — საბავშვო ბაღების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების — დიდ დანახარჯებს გამოიწვევდა და გამოსავლის ძიება დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ დედების უმრავლესობა 20 წლამდე ასაკის იყო და უმეტესობა მარტო ზრდიდა ბავშვებს.

„გამოსავალიც“ მოიძებნა: 1960-იან წლებში სტარტი აიღო შობადობაზე იძულებითი კონტროლის პროგრამამ, რომლის მსვლელობისას დანიელი ექიმები ინუიტ ქალებს მათი თანხმობის გარეშე საშვილოსნოსშიდა სპირალს უდგამდნენ. კამპანია 1970-იანი წლების შუაწლებამდე გრძელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში 45000-ზე მეტ ქალს ჩაუტარდა ეს სამედიცინო მანიპულაცია.

„დენმარკ რადიოს“ მონაცემებით, ზოგიერთი გრენლანდიელი იმ დროისთვის 14 წელზე ახალგაზრდა იყო. სპირალებს უდგამდნენ მოზარდებს სამედიცინო შემოწმებების დროს, უფროს ქალებს კი მშობიარობისას ან ორსულობის შეწყვეტისას. ხშირ შემთხვევაში, პაციენტებმა არც კი იცოდნენ, რომ მათ ეს პროცედურა ჩაუტარდათ (ბევრი მათგანი, ვისზეც ეს ძალადობრივი სამედიცინო აქტი განხორციელდა, გარდაიცვალა, ბევრი მხცოვანია და ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა აწუხებს).

კანონში სპირალის ჩადგმა გაწერილი იყო როგორც რეკომენდაცია და არა როგორც სავალდებულო პროცედურა. მაგრამ იძულების ფაქტების დადასტურება ძალიან ძნელია, რადგან თანხმობა ქალებს ზეწოლის შედეგადაც შეეძლოთ მიეცათ.

2024 წლის მარტში 143-მა გრენლანდიელმა ქალბატონმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა დანიის ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვა კომპენსაცია 6,3 მლნ დოლარის ოდენობით. უფრო ადრე, 2023 წლის ოქტომბერში, ქალთა ჯგუფმა ანალოგიური სარჩელი შეიტანა და თითოეული დაზარალებულისთვის კომპენსაციის სახით 300 ათასი დანიური კრონა მოითხოვა. მაშინ დანიის მთავრობამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მიზეზად კი გაჭიანურებული გამოძიება დაასახელა. მოსალოდნელია, რომ სპეციალური კომისია ამ საქმესთან დაკავშირებულ დასკვნებს არაუადრეს 2025 წლის მაისისთვის დადებს.

ფსიქოლოგმა ნაჯა ლიბერტმა, რომელიც კოლექტიური სარჩელის ინიციატორია, განაცხადა, რომ სპირალების ჩადგმის გამო დაზარალებულებს გაუუარესდათ ჯანმრთელობის მდგომარეობა და ხშირ შემთხვევაში, მენტალური დარღვევების გამომწვევი მიზეზიც გახდა.

ბრძოლა არასრულწლოვანთა აბორტების წინააღმდეგ

დღეისათვის გრენლანდიაში სულ სხვა სიტუაციაა: 2021 წელს იქ 761 ბავშვი დაიბადა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. იმავე 2021 წელს დაფიქსირდა 842 აბორტი. ქვეყანაში ამ მხრივ მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, 2019 წლის მონაცემებით, გრენლანდიაში 1000 ქალზე 79,7 აბორტი მოდიოდა.

ეკონომიკური პრობლემები და კუნძულზე გამეფებული მკაცრი პირობები მთავარი ფაქტორებია, რომელთა გამოც ქალები უარს ამბობენ შვილების ყოლაზე და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაცეპტივები აქ უფასო და ყველასთვის ხელმისაწვდომია, ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად უგულებელყოფს მათ, რის გამოც აბორტი საუკეთესო გამოსავლად არის მიჩნეული.

გრენლანდიაში სექსუალური განათლება არ არის მიღებული. მშობლები უხერხულ თემებზე საუბრებს გაურბიან. ახალგაზრდები სქესობრივ ცხოვრებას ძალიან ადრე, 14-15 წლის ასაკში იწყებენ. ადრეულ ასაკში აბორტების შემცირების მიზნით და ახალგაზრდებისთვის მშობლების ვალდებულებების შესახებ საუბრებისა და ამ საკითხებში მათი გათვითცნობიერებისთვის მთავრობამ შექმნა სპეციალური პროგრამა „თოჯინა“, რომლის მსვლელობისას ახალგაზრდებს ასწავლიან, როგორ უნდა მოუარონ ბავშვს.

გინეკოლოგ სტაინ ბროენის თქმით, არასასურველი ორსულობა ალკოჰოლის მოხმარების შედეგია, რადგან ნასვამ მდგომარეობაში ხშირად ორივე პარტნიორს ავიწყდება კონტრაცეფციის საშუალების გამოყენება.

გრენლანდიის მთავრობა აღიარებს, რომ ალკოჰოლიზმი სერიოზული სახელმწიფო პრობლემაა და 2024 წლიდან დაიწყო ნაციონალური პროგრამის შემუშავება, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული.

გარდა ამისა, გრენლანდიაში მწვავედ დგას ოჯახური ძალადობის საკითხიც, რასაც სუიციდის მაღალი მაჩვენებლის გამომწვევად მიიჩნევენ. 2018 წელს იქ 100 000 ადამიანზე თვითმკვლელობის 83 ფაქტი დაფიქსირდა (იმავე პერიოდისთვის მსოფლიოში ეს მაჩვენებელი 100 000 ადამიანზე 10 შემთხვევაზე ნაკლები იყო).

2014 წელს კრონპრინცესა მარის (დღეისათვის დედოფალი-კონსორტი) ფონდის მხარდაჭერით, ნუუკეში, კუნძულის დედაქალაქში შეიქმნა სპეციალური კრიზისის ცენტრი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის. 2022 წელს გრენლანდია შეუერთდა სტამბულის კონვენციას — ევროპის საბჭოს საერთაშორისო შეთანხმებას ქალების მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ.

ამასთან, შობადობის კოეფიციენტმა, ე. ი. ერთ ქალზე ბავშვების საშუალო რაოდენობამ, გრენლანდიაში 2022 წელს 1,8 შეადგინა (დანიაში — 1,5).

დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა

კუნძული მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის, ნავთობითა და ბუნებრივი აირით, თუმცა, გრენლანდიის მთავრობა 2021 წლიდან აღარ გასცემს ლიცენზიებს ამ რესურსების მოპოვებაზე, რათა გარემოს ზიანი არ მიადგეს.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, გრენლანდიის მოსახლეობის 85% აშშ-ის შემადგენლობაში გაერთიანების წინააღმდეგია. ბევრი გრენლანდიელისთვის თვითმყოფადობის, კულტურული ტრადიციების, ხელოსნობის დარგებისა და რეწვის შენარჩუნება, რომლებიც მეტროპოლის გავლენითა და ზეწოლის შედეგად დავიწყებულია, ძალზე მნიშვნელოვანია.

არქტიკულ რეგიონში მკაცრი ბუნებრივი პირობებისთვის რომ გაეძლოთ, ინუიტები ცხოველების ტყავებისგან დამზადებულ სამოსს იცვამდნენ, რომელსაც მრავალრიცხოვანი მძივების ლამაზი ორნამენტებით რთავდნენ. ტრადიციულად, მისი კერვით ქალები იყვნენ დაკავებული. ახლა ინუიტი ქალები ცდილობენ დაკარგული ტრადიციების აღდგენას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან შრომატევადი სამუშაოა, მათ მიაჩნიათ, რომ ეს საქმიანობა და ცოდნა მომავალ თაობებს უნდა გადასცენ.

კუნძულის მცხოვრები ქალებისთვის ყველაზე მწვავე გეოპოლიტიკის საკითხი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პარალელს ავლებენ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან, — იძულებითი სტერილიზაციის გამო კომპენსაციის მოთხოვნა „საკუთარი სხეულის დეკოლონიალიზაციის“ უფლების დაცვის მაგალითია. თუმცა, სასამართლოს მოგება შეიძლება უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახდეს უბრალო კონცეფციის დამკვიდრებისთვის: ადამიანის სხეული სახელმწიფოს არ ეკუთვნის და გრენლანდიელი ქალები მზად არიან, ეს ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი დაამტკიცონ.

ბელა გველესიანი

სად გაქრა 250 მილიარდი დოლარი?!

მსოფლიოს საზოგადოების ყურადღება გასულ კვირას საუდის არაბეთისკენ იყო მიპყრობილი, რომლის დედაქალაქი ელ-რიადი ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის დელეგაციების შეხვედრას მასპინძლობდა.

დიალოგის ჩატარების ადგილზე ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შეთანხმდნენ პრეზიდენტები — დონალდ ტრამპი და ვლადიმირ პუტინი. უდავოდ საინტერესო იყო, რა შედეგით დასრულდებოდა ორმხრივი შეხვედრა ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი, გაყინული ურთიერთობის შემდეგ.

საუდის არაბეთში აშშ-ის მხრიდან ჩავიდნენ სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო, პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში მაიკ უოტცი, ახლო აღმოსავლეთში პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი სტივენ უიტკოფი. რუსეთის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და პუტინის თანაშემწე იური უშაკოვი.

ჯერ კიდევ ტრამპისა და პუტინის სატელეფონო საუბრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ დიალოგში ევროპის ქვეყნები და უკრაინა მონაწილეობას არ მიიღებდნენ, რამაც ისინი სერიოზულად შეაშფოთა.

მოლაპარაკება მხარეებს შორის საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა – ის 4,5 საათს გაგრძელდა. საუბრის დეტალები, თავისთავად, უცნობია, მაგრამ როგორც აშშ-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მოლაპარაკების პროცესში მხარეები ხუმრობდნენ კიდეც.

„...მოლაპარაკება პოზიტიურად, საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ყველა მონაწილე მოწადინებული იყო შედეგის მისაღწევად. დავგეგმეთ მოლაპარაკების ფორმატის გაფართოება, რაც ორივე მხარის ინტერესებშია. კერძოდ, შევთანხმდით, დასრულდეს დიპლომატიური თანამშრომლობის ხელოვნურად შეზღუდვა“, — განაცხადეს რუსეთის წარმომადგენლებმა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უკრაინაში კონფლიქტის დასრულების საკითხებზე იმუშავებს.

სამშობლოში დაბრუნებულმა სერგეი ლავროვმა მაღალი შეფასება მისცა განვლილ ორმხრივ შეხვედრას: „ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ კი არ ვუსმენდით, გვესმოდა კიდეც ერთმანეთის“, — განაცხადა მან. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიფინგზე, ასევე, თქვა, რომ კონსულტაციების განახლებამ მხარეებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით გეოპოლიტიკურმა პრობლემებმა. ლავროვის განცხადებით, ორმხრივი შეხვედრის შედეგია ისიც, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გადაიდგა პირველი ნაბიჯი ორი ქვეყნის ურთიერთობის სრული აღდგენისკენ“.

შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი დარჩა აშშ-ის დელეგაცია: „მსგავს შედეგს ვერ წარმოვიდგენდი“, — განუცხადა ჟურნალისტებს სტივ უიტკოფმა. მაიკ იუტცის თქმით, მათი მიზანი, „არამარტო ცეცხლის შეწყვეტა, არამედ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების გეგმის შემუშავებაა“. თეთრი სახლის ვიცე-სპიკერმა კაროლინ ლევიტმა კი განაცხადა: „შეხვედრა მონუმენტური ნაბიჯი გახდა უკრაინაში მშვიდობის დასამყარებლად“. მისივე თქმით, აუცილებელია, მოუსმინონ კონფლიქტის მხარეებს და მათთან დიალოგი აწარმოონ.

მსოფლიოს პრესის უმეტესობა დადებითად აფასებს ელ-რიადში გამართულ აშშ-რუსეთის სამიტს. თუმცა, ლიბერალური გამოცემები უკმაყოფილებას ვერ მალავენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოსალოდნელი გაუმჯობესების გამო. შეხვედრამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ელ-რიადში დონალდ ტრამპისა და ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრის თარიღზეც შეთანხმდებოდნენ. ჟურნალისტების შეკითხვას ამ თემაზე ლავროვმა ასე უპასუხა: „ტრამპისა და პუტინის შეხვედრა მაშინ გაიმართება, რაზეც პრეზიდენტები მოილაპარაკებენ და შეთანხმდებიან“.

არაბული პრესის ინფორმაციით, აშშ-ისა და რუსეთის დელეგაციების შეხვედრის დასრულების შემდეგ სერგეი ლავროვი საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა (რომელიც, ფაქტობრივად, უკვე მართავს ქვეყანას) მუჰამედ ბენ სალმანსმა მიიღო. როგორც იუწყებიან, მათ განიხილეს რეგიონული და საერთაშორისო საკითხები. მოგვიანებით პუტინი ტელეფონით ესაუბრა პრინცს და მადლობა გადაუხადა შეხვედრის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის. დიდი ალბათობით, ტრამპისა და პუტინის შეხვედრას, შესაძლოა, სწორედ საუდის არაბეთმა უმასპინძლოს.

აშშ-რუსეთის დელეგაციების შეხვედრამდე ვარაუდობდნენ, რომ ძირითადი განსახილველი საკითხი უკრაინის კონფლიქტის დასრულება იქნებოდა. თუმცა, ევროპელები განაწყენდნენ, რომ ისინი მოლაპარაკებაზე არ მიიწვიეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ელ-რიადში უკრაინაზე საუბარს მხარეებმა ძალიან ცოტა დრო დაუთმეს.

დაუპატიჟებლობის გამო გაბრაზებულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა დონალდ ტრამპთან დაპირისპირება სცადა და ელ-რიადის სამიტამდე ერთი დღით ადრე უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით პარიზში ევროკავშირის არაფორმალური სამიტი გამართა. განიხილავდნენ უკრაინისთვის დახმარებას, მაგრამ საერთო აზრამდე ვერ მივიდნენ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი აცხადებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზად იყო უკრაინაში ჯარების გასაგზავნად. ამის წინააღმდეგი იყვნენ გერმანია, იტალია, ესპანეთი და პოლონეთი. არაფორმალური სამიტის პირველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ორი დღის შემდეგ მაკრონმა კვლავ სცადა ღონისძიების თავის სასარგებლოდ გამართვა და ამჯერად უკვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ასევე, ფინეთი, საბერძნეთი და შვედეთი მიიწვია. რამდენიმე მათგანი ვიდეოჩართვით მონაწილეობდა. არაფორმალური სამიტი კვლავ უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ აშკარა გახდა, რომ ევროკავშირში შიდა დაპირისპირება მატულობს.

გაურკვეველ მდგომარეობაშია უკრაინის ვადაგასული პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი. ერთის მხრივ, აშშ-ის ადმინისტრაციას სთხოვს დახმარებას, მაგრამ იქვე აშკარად თავხედობს კიდეც.

გასულ კვირას იგი თურქეთში იმყოფებოდა, სადაც მოლაპარაკება გამართა ქვეყნის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანთან. თურქეთის პრესის ინფორმაციით, დიალოგი 3 საათს გაგრძელდა, რომლის მსვლელობისას ერდოღანმა ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა. ცხადია, დახმარებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. საუდის არაბეთში აშშ-რუსეთის მოლაპარაკებაზე მიუწვევლობის გამო ზელენსკი განაწყენდა, ელ-რიადში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა და სასწრაფოდ დაბრუნდა კიევში. „საუდის არაბეთში ვიზიტს 10 მარტს განვახორციელებ, ხოლო ამერიკელებს კიევში ველოდები“, — განაცხადა ზელენსკიმ.

ბრძოლის ველზე წარუმატებლობის გარდა, ზელენსკის პოლიტიკური კუთხითაც აქვს პრობლემები. განსაკუთრებით ტოქსიკური აშშ გახდა. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში ყველა მას აკრიტიკებს. ზელენსკის მდგომარეობა მას შემდეგ დამძიმდა, რაც დონალდ ტრამპმა უკრაინისგან ქვეყნისთვის მიცემული თანხების დაბრუნება მოითხოვა. საერთო ჯამში, საუბარი 500 მლრდ დოლარზეა. თავდაპირველად თავად ზელენსკიმ შესთავაზა აშშ-ის მხარეს წიაღისეული საბადოების გადაცემა. თუმცა, რამდენიმე დღეში გადათქვა და საბადოების გადაცემაზე უარი განუცხადა. იგი, ასევე, აცხადებს, რომ მიღებული თანხის რაოდენობა მხოლოდ 100 მლრდ-ია და არა 350. თუმცა, არც 100 მლრდ-ის გადახდაზეა თანახმა.

დაპირისპირება ზელენსკისა და აშშ-ის ადმინისტრაციას შორის განსაკუთრებით გასულ კვირას გამწვავდა. დონალდ ტრამპმა იგი დიქტატორად მოიხსენია, „რომელსაც ქვეყანაში არჩევნების ჩატარება არ სურს“. იქვე აღნიშნა კიევის მოქმედი რეჟიმის დაბალი რეიტინგი. ტრამპის განცხადებით, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება რუსეთის მოთხოვნა არ არის, ეს საკითხი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აშფოთებთ“. შეკითხვაზე, რატომ არ მიიწვიეს ზელენსკი მოლაპარაკებებზე, ტრამპმა უპასუხა, რომ მის მიწვევას აზრი არ ჰქონდა, რადგან სამი წლის განმავლობაში კონფლიქტის შესაჩერებლად არაფერი გააკეთა. ტრამპის მოსაზრებით, თუ ბრძოლები არ შეწყდა, კონფლიქტი შესაძლოა, მსოფლიო ომში გადაიზარდოს.

ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორის ტუომას მალინენის

ზურა მექოშვილის ხსოვნას

ზურა, ჩვენო საყვარელო ადამიანო. არ გვჯერა, რომ ამ გამოსათხოვარ სიტყვებს შენ გიძღვნით. ვერ ვიჯერებთ, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ იქნები და შენი ჩვენთან ყოფნით აღარ გაგვაბედნიერებ. ერთიანად დაგვადუმე ყველა, მთელი ნათესაობა, ჩემო დეიდაშვილო.

კარგი მომავალი გქონდა. შენი ვაჟკაცური ცეკვით აღფრთოვანებული იყო მთელი საქართველო. მაინც, ამ პატარა ბიჭმა როგორ შეძელი, რომ ყველას სიყვარული და პატივისცემა დაგემსახურებინა. მახსოვს, როგორ განიცადე, მე რომ ავარიაში მოვყევი. გვიან ღამით საავადმყოფოს დაცვას როგორ არ შეეპუე და მაინც მინახულე.

ასეთი იყავი. ამბობდი, ნახევარი ხვედელიძეები ვართო და რისი გეშინიაო. წარმოვიდგენდი ჩემს სიბერეს შენთან ერთად, როცა ზურია მყავს, ჩემი სალამურა, რა მომკლავს-მეთქი, მაგრამ...

მშვიდობით, ჩემო პატარა ძამიკო. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური მიწა.

ჩვენ კი, შენი ნათესაობა, პირობას გაძლევთ, არასოდეს მივატოვებთ შენს დედას, რომელიც ძალიან გიყვარდა და არც შენს მონაგარს.

ნათესავების სახელით
ლევან ჭიღლაძე

გულისტკივილით ვიზიარებთ ჩვენი ყოფილი თანამშრომლის, მეგობრის, ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის მწუხარებას დედის,

ზეინაბ ნატროშვილი-ზედელაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

„საერთო გაზეთი“

მოსაზრებით, „უკრაინაში სამშვიდობო პროცესი მაშინ დაიწყება, როცა ზელენსკი ქვეყნიდან წავა“. თეთრ სახლში მიაჩნიათ, რომ კიევის რეჟიმის ხელმძღვანელმა სასწრაფოდ უნდა დატოვოს ქვეყანა და საფრანგეთში წავიდეს.

აშშ-ს სტუმრობდნენ ემანუელ მაკრონი და კირ სტარმერი. შედეგებზე საუბარი ნაადრევია, სავარაუდოდ, დონალდ ტრამპთან ვიზიტის შემდეგ ისინი მკვეთრად შეიცვლიან პოზიციებს.

გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპი აღმოსავლეთ ევროპის ნატო-ს წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემდეგ გაწევრიანდნენ ალიანსში, ჯარების გაყვანას და სამხედრო ბაზების დახურვას აპირებს.

ამ უქმეებზე გერმანიაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ოფიციალური წინასწარი შედეგების მიხედვით, ფრიდრიხ მერცის ხელმძღვანელობით კონსერვატიულმა ბლოკმა „ქრისტიან-დემოკრატიული/ქრისტიან-სოციალური კავშირი“ ხმების 28,6% მიიღო და ლიდერობს.

მეორე ადგილზეა ულტრამემარჯვენე პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ 20,8%-ით, ხოლო მოქმედი კანცლერის, ოლაფ შოლცის „გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ“ 16,4% მიიღო.

არჩევნების შემდეგ, ოლაფ შოლცმა დამარცხება აღიარა და ფრიდრიხ მერცს გამარჯვება მიულოცა.

ფრიდრიხ მერცმა განაცხადა, რომ მისი ბლოკი არ შექმნის კოალიციას ულტრამემარჯვენე პარტიასთან „ალტერნატივა გერმანიისთვის“.

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ რეკორდულ 83%-ს მიაღწია.

მსოფლიო ლიდერებმა, მათ შორის უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, ფრიდრიხ მერცს გამარჯვება მიულოცეს.

გია ბურდული

გული არაფერზე მწყდება, ჯავახეთი მრჩება მიუხედავი!

„ჯავახეთის აღორძინების არაფორმალური კომიტეტი-1988“-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტის ომარ გრიგოლაშვილის გახსენება



„წუთია წუთისოფელი!“

ორმოცი დღე კი - თვალის დახამხამება!

ჩვენი ბოლო შეხვედრისას თავი გადააქნიე, შემოგვხედე და გულდაწყვეტილმა თქვი:

„გული არაფერზე მწყდება, ჯავახეთი მრჩება მიუხედავიო!“

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1988 წლის გაზაფხულზე ახალქალაქის სოფელ პრტენაში, ადვაძეების ქორწილში ჩასული აღფრთოვანებული დავბრუნდი თბილისს.

მეორე დღესვე შეკრიბე შვიდიათასკაციანი სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ელვას“ პროფკავშირის კომიტეტი და ყველა რომ ჯავახური ქორწილის ამბების მოყოლას ელოდა, შენ, — პრტენასა და ჩუნჩხაზე, აფნიასა და აზმანაზე, კოთელიასა და გოგაშენზე ყვებოდი. იმ დღესვე დაიგეგმა წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის ტაძრების აღდგენა პრტენასა და ჩუნჩხაში, პირველი ექსპედიციის ჯგუფიც იქვე შეირჩა უამრავი მსურველისგან.

ასე გაიგო ზემოთჩამოთვლილი ჯავახური სოფლების სახელები საქართველომ, ადრე ნათურქალ-ნაყიზილბაშარი, საბჭოთა სასაზღვრო ზონაში რომ იყო მომწყვდეული და ქართველს საგანგებო საშვის გარეშე შესვლა რომ ეკრძალებოდა.

სულ რამდენჯერმე მოვასწარით ჯავახეთს მოხალისე ენთუზიასტ-რესტავრატორების ჩაყვანა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი საზეიმო სტუმრობები.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია არ ჰქონდა ქვეყანს მონელებული, ათი დღის თავზე აჭარაში ჩამოჰკრა განგაშის ზარმა:

ამჯერად ბუნებამ გვიმუხთლა და შუახევში, ქედაში, ხულოში... ერთმანეთის მიყოლებით დაიმეწყრა ძირძველი ქართული სოფლები!

წაბლანას ტრაგედია კი უმძიმესი დასასრული აღმოჩნდა იმ საშინელებისა, რომელმაც ათასობით მრავალშვილიანი, უფლის იმედად, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი შეატოვა მოწშენდილ ზეცას!

„ყველაფერი ღვთის ნებით ხდებაო!..“

ხშირად, გაოცებას ვერ ვმალავდით მათ დასახმარებლად ჩასულნი, — გაუტეხელი, იმედიანი და აღმშენებლობის ჟინით აღსავსე ხალხის შემხედვარენი.

სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ გვათქმევინა მაშინ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში, სულმნათი აკაკის სიტყვები:

„საქართველო სულ სხვა ბაღია და მას სულ სხვანაირი მებაღეობა ჭირდებაო!..“

იქნებ, უნდა აცხადდეს დიდი ქართველის ღაღადისი და სწორედ ის „სხვანაირი მებაღე“ ჩამოსახლდა ჯავახეთში?!.

... საოცრება იყო ექვს თვეში აშენებული 380 სასახლის დარი სახლი, ქართველ გადაშენებულ „ბოგდანოვკაში“ დუხობორებისგან და მალაკნებისგან სახლების შესყიდვა და ამდენივე ქართველის ჩასახლება, მისი „ნინოწმინდად“ მონათვლა და პირველი, „იაკობ გოგბაშვილის“ სახელობის ქართული სკოლის გახსნა, სადაც „დიდი თურქობიდან“ მოყოლებული, 1989 წლამდე ქართული საგანმანათლებლო კერა არ არსებულა.

სამწუხაროდ, ქართველთა სიხარულს გლოვაც არ დააკლდა იმ პერიოდში, 1991-92 წლებში საქართველოს დამხობა ჯავახეთზეც განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა. იქიდან მოყოლებული, ამ კუთხის, 30-წლიანმა, ბედის ანაბარად მიგდებულობამ ათქმევინა ბატონ ომარ გრიგოლაშვილს:

„გული არაფერზე მწყდება, ჯავახეთი მრჩება მიუხედავიო!“

40 დღე გავიდა მხოლოდ ამ დღის შემდეგ. საბედნიეროდ, იშვიათად მაგრამ, კარგი ამბავიც მოულოდნელად შეიძლება „დაგვატყდეს“ თურმე!

ამბობენ, საავდრო ამინდმა გადაიარაო საქართველოში!

ვინ იცის, საქართველოსთან ერთად, შენთვის დარდად გაყოლილი ჯავახეთიც აღორძინდეს 33 წლის შემდეგ?

ნათელში გამყოფოს უფალმა და გაგინათოს შენგან დალოცვილი სამშობლო - საქართველო და მისი თვალ-მარგალიტი ჯავახეთი!

„ჯავახეთის აღორძინების არაფორმალური კომიტეტი-1988“-ს სახელით:
დავით ქობალია, გურამ თევდორაძე,
რომან კენკიშვილი, სულიკო ბაიაშვილი

ფიზიკა საინტერესო და ძალზე საჭირო მეცნიერებაა

11 გვ.

სალივანი აცხადებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური რუსეთის განცხადებით, სამტროდ არ იმყოფებოდნენ კონკრეტულ სივრცეში, თვალყურს მაინც გაფაციცებული ადევნებდნენ, რადგან 5 წუთი იყო ვაშინგტონამდე საფრენი მანძილი...

2015 წლიდან მოყოლებული, უკრაინის კრიზისის ფონზე, რუსული სამხედრო ხომალდი „ვიქტორ ლეონოვი“ არაერთხელ გამოჩნდა ფლორიდის სანაპიროსთან და ჯორჯიის შტატის ამერიკული წყალქვეშა ნავების ბაზის, „კინგ-ბეი“-ს სიახლოვეს, მისგან 20 მილის მოშორებით,

„ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, როდესაც წყალქვეშა ნავი კიდევ ერთხელ გამოჩნდა, აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ „ვიქტორ ლეონოვი“ არასახიფათო მანევრებს ატარებს საერთაშორისო წყლებში და სამხრეთ კაროლინისა და ფლორიდის შტატების სიახლოვეს. აღნიშნული იყო ისიც, რომ ხომალდზე არ რთავდნენ ზოგიერთ ნავიგაციურ ხელსაწყოს შეზღუდული ხილვადობის დროსაც კი და თითქოს არც იმ შეკითხვებს პასუხობდნენ, რომელთა საშუალებითაც დადგინდებოდა, თუ სად იმყოფებოდა „ვიქტორ ლეონოვი“. ამერიკული წყაროს ცნობით, ასე ხილული იყო „სხვა უწესრიგო მანევრებიც“. ნათქვამი იყო ისიც, რომ აშშ-ის საზღვაო დაცვის სამსახური რუსული სამხედრო გემების სიახლოვის შესახებ აფრთხილებდა იმ ადამიანებსაც, რომლებიც იმ რაიონებში მყოფ ხომალდებზე იყვნენ.

2017, 2018 წელს და მომდევნო წლებში „ვიქტორ ლეონოვი“ საერთაშორისო წყლებში ჩნდება და შემდეგ აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს უახლოვდება. მოგვიანებით აშშ-მ განაცხადა, რომ აღნიშნულ ადგილებში რუსული ხომალდები კანონიერად იმყოფებოდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ისევ „რაღაც წყაროდან“ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი მანევრის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი რუსული ხომალდი 100 ტონით შემსუბუქდა — რა ტვირთი ჩამოიხსნა, სად დატოვა, როგორ და რატომ, რომ ვერ დააფიქსირეს?

მე ვერაფერს დავადასტურებ, მხოლოდ უცნობი წყაროს ნათქვამი შემიძლია გითხრათ, რომ თითქოს ფლორიდის სანაპიროსთან ჩაძირულია წყალქვეშა ობიექტი, რომელიც იმართება რადიოტალღებით და იქ არის ასმეგატონიანი თერმობირთვული ბომბი, რომელიც, თუ აფეთქდა, აშშ-ის კონტინენტს წაიღებს ოკეანის აზვირთებული ტალღები. თუ გახსოვთ, უკრაინის ომი რომ დაიწყო და ჭორები გავრცელდა, პუტინი ბუნკერში იმალებაო, რომელიღაც ბლოგერმა დაწერა, რა უნდა ამ ხალხს, აშშ-ის კონტინენტზე ვოლგა-დონის არხი გავიყვანოთო?

კონტინეტთაშორისი რაკეტა რომ გაუშვა რუსეთმა, ხომ გახსოვთ — პუტინმა სასწრაფოდ ამცნო ობამას, „მოკლე ჩართვა მოხდა, რაკეტა გამოგვექცა, რამე იღონეთ სასწრაფოდ, ჩამოაგდეთო.“ ვერაფერი მოუხერხეს და 500კმ-ზე რომ მიუახლოვდა აშშ-ს, რუსებმა შეაბრუნეს რაკეტა და არგენტინის სანაპიროსთან წყალში ჩაძირეს.

— მახსოვს ეგ ამბავი და მასთან დაკავშირებით ატეხილი განგაშიც, თუმცა, ხალხი დიდად ვერ ხვდებოდა, რა მოხდა და რა შედეგი დადგებოდა...

მე ვიცი, რასაც ვამბობ, მაგრამ გაზეთის მკიხველისთვის ასე შებოჭილად ნალაპარაკევი როგორი იქნება, ვერ გეტყვით...

ამის შემდეგ იყო, უკანვე რომ გაიწვია აშშ-მა კონგრესის მიერ მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც აშშ იტოვებდა უფლებას, რომ გაუფრთხილებლად მიეყენებინა სარაკეტო ბირთვული დარტყმა რუსეთისთვის.

ბგერის სიჩქარე 1200 მეტრია წამში და 10-ჯერ მეტი სიჩქარე რომ აქვს რაკეტას, სანამ დააფიქსირებს ხელსაწყო, უკვე გვიანია და, შემდეგ რითი დაეწევი ან დაუხვდები, როცა შემაკავებელი ჯერ არ გამოუგონებიათ...

— ქობინებზეც მოყოლილი გაქვთ და ახლა განავრცეთ...

— არ მახსოვს, რა მოგიყევით ქობინებზე, მაგრამ, ალბათ, ალექსანდრე ნადირაძის მიერ შექმნილ თექვსმეტღერძიან უზარმაზარ თვითმავალ სტრატეგიულ სარაკეტო კომპლექს „ტოპოლზე“ გეტყოდით. რა რაოდენობის არის, ვერავინ იტყვის და ვერც დააფიქსირებს, მაგრამ ნამდვილად არის, დადის ციმბირში, ტაიგაში. როდესაც სიგნალს მიიღებს, გაჩერდება, აიწევა რაკეტა, გაფრინდება და როდესაც მიუახლოვდება მიზანს, გაიშლება და 16 ცალკეული რაკეტა თავიანთი მიზნისკენ გაფრინდება. ე.წ. დასავლეთს მსგავსი არაფერი აქვს.

„ტოპოლის“ რაკეტას 1-ტონიანი საბრძოლო ქობინი მიაქვს. სამიზნიდან გადახრა 400 მეტრს არ აღემატება, რაც სროლის მანძილის გათვალისწინებით (10500 კმ), ნულის ტოლად მიიჩნევა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა და სსრკ-მ აქტიურად დაიწყეს მუშაობა ბალისტიკურ რაკეტებზე. იმ დროს მსგავსი რაკეტები თხევადი საწვავით კი მუშაობდნენ, მაგრამ ეფექტურობის მიუხედავად, ტოქსიკურიც იყო და დროც სჭირდებოდა მის გამართვას. ალექსანდრე ნადირაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მყარსაწვავიანი რაკეტების შექმნა დაიწყო. სხვათა შორის, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მეტეოროლოგიური რაკეტა-1-იც.

ნადირაძის კონსტრუქტორთა ჯგუფმა შექმნა მართვადი საავიაციო ბომბიც. **Темп-С**-ის ტიპის სარაკეტო კომპლექსიც ნადირაძის შრომის წყალობით მიიღეს. ნადირაძის ინსტიტუტს საიდუმლოდ დაევალა საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე სარაკეტო კომპლექსის შექმნა, რომელიც მობილური უნდა ყოფილიყო, ანუ მისი გაშვება პირდაპირ სატრანსპორტო მანქანიდან უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. კომპლექსს „პიონერი“ ეწოდა — მის რაკეტას სამი ბირთვული ქობინი მიჰქონდა. ასეთი იარაღის შექმნა 70-იან წლებში მოულოდელი იყო და იმ პერიოდში, მსოფლიოს ყველაზე მეტად ამ რაკეტების ეშინოდა.

ცნობილი ამბავია, რომ პრეზიდენტმა დე გოლმა, რომელიც პროფესიონალი სამხედრო იყო, საფრანგეთი NATO-დან სწორედ საბჭოური ბალისტიკური რაკეტების სადემონსტრაციო სტარტის ხილვის შემდეგ, ორ კვირაში გამოიყვანა.

მსოფლიოს აშინებდა ალექსანდრე ნადირაძის მიერ შექმნილი სარაკეტო სისტემები **„Темп-С“, „Темп-2“, „Пионер“, „Тополь“, „Скорость“**, მაგრამ ნაკლებად იცის ვინმემ, რომ მისი შემქმნელი ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელი ქართველი იყო.

დიდი ადრონული კოლაიდერი რომ არის, მიწისქვეშა წრიული ამაჩქარებელი, ცერნშია, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში. ეს არის მსოფლიოს უდიდესი ლაბორატორია ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. ტერიტორიულად, ცენტრი განლაგებულია ნაწილობრივ შვეიცარიისა და ნაწილობრივ საფრანგეთის ტერიტორიაზე. 1954 წელს დაფუძნდა ეს ორგანიზაცია და „მსოფლიო აბლაბუდას“ დაბადების ადგილსაც უწოდებენ.

ელექტრონების ან პროტონების კონას, რომელსაც ამაჩქარებლის ორ საწინააღმდეგო წერტილში ამოაფრქვევს, ემიტერი, ე. წ. ქვემეხი, ამაჩქარებლის მძლავრი ელექტრომაგნიტური ველი აჩქარებს და მერე ერთმანეთს აჯახებს. პროცესს რეგისტრაცია უნდა, რა ხდება. ამ რეგისტრაციისთვის უზარმაზარი, სამსართულიანი სახლისოდენა მოწყობილობა თვითონ ვერ ჩაუშვეს მიწისქვეშ და ეს შეძლეს ქართველმა მეცნიერებმა.

— თვითონ რატომ ვერ ჩაუშვეს?

— ღრმა ორმოში უნდა ჩაეშვათ ძვირფასი დანადგარი, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო დამზადებული და ახალგაზრდა ქართველ ფიზიკოსებს დაევალათ მისი ჩაშვება. სხვათა შორის, ცერნის ლაბორატორიაში 100 მეცნიერი მუშაობს და მათგან 35 ფიზიკოსი ქართველია. მათი ნაწილი საქართველოს მოქალაქეა, ნაწილი კი სხვადასხვა ქვეყნის სახელით არის წარმოდგენილი.

— სამხედრო მიმართულების ლაბორატორიაში მუშაობდით და სოხუმში იყავით, ეშერადან მიწისძვრების გამოწვევაზე რამე თუ გსმენიათ?

— რა თქმა უნდა, ითვლება, რომ ხელოვნურად გამოწვეული მიწისძვრა, ეს არის ორი სხვადასხვა ობიექტიდან გაშვებული მძლავრი ელექტრომაგნიტური, დიდი სიმძლავრის მიმართული, ფოკუსირებული სხივები. როდესაც ასეთ სხივებს ორი სხვადასხვა ადგილიდან გაუშვებ და გადაკვეთის ადგილს განსაზღვრავ, იმ ადგილზე მოხდება მიწისძვრა.

— ასეთივე წარმატებით ხომ ცუნამის გამოწვევაც შესაძლებელი იქნება? მიწისქვეშ მიმართავენ სხივებს, ისინი გადაკვეთენ ერთმანეთს და ზემოთ, წყალზე, დამანგრეველი ძალის ტალღები წარმოიქმნება...

— ცუნამის ხელოვნურად წარმოქმნაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ყველაფერს, თქვენთვის ძალზე უმნიშვნელოსაც, ფიზიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად, ოთხმა ტურბორეაქტიულმა თვითმფრინავმა წრიულად რომ იფრინოს გარკვეული ხანი და შემდეგ გაიშალონ, წრეში წარმოიქმნება ტაიფუნი — ერთხანს ამერიკელები ბრალს სდებდნენ რუსებს, ასეთი რამ გაგვიკეთეს რუსებმაო.

ასე რომ, ფიზიკა საინტერესო და ძალზე საჭირო საგანია, მაგრამ ჩვენს განათლების სისტემას ისეთი ჩავარდნა აქვს ყველა მიმართულებით, ქართული ფიზიკის სკოლას აღდგენა თუ უწერია, არავინ უწყის...

— მადლობა, ბატონო ვოვა საინტერესო ინტერვიუსთვის. იმედია, კიდევ არაერთხელ ვისაუბრებთ...

ესაუბრა
მაია ჭელიძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99